პაატა ბურაშვილი

# ნაზარლების სამლოცველო

თბილისი
2021

პაატა ბუხრაშვილი
**ნაზარლების სამლოცვლო**
Paata Buchraschwili
**Heiligtum von Nazarlebi**
Paata Bukhrashvili
**Sanctuary of Nazarlebi**

ISSN 1512-0449
კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“-ს XXXV ნომრის დამატება

**რეცენზენტები**

აკად. კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაური

პროფ. გურამ ყიფიანი

პროფ. ქევინ თუითი

**პაატა ბუხრაშვილი**

# ნაზარლების სამლოცველო

ეთნოარქეოლოგიური რეტროსპექტივის ცდა

თბილისი
2021

ჩემს **ნინიას, ლაზარეს** და ყველა პატარა ქართველს,
მომავლის საიმედოდ...

V. ჯანიაშვილი

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში, აღწერილია შირაქის ზეგანზე, მთა „ნაზარლები“-ს თხემზე, ახლადაღმოჩენილი, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის (ქრისტემდე XII – X ს.ს.) ძალზე საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი და მოცემულია წინასწარული ვარაუდები და დასკვნები მისი ადგილის თაობაზე ცენტრალური ამირკავკასიის და მისი მიმდებარე მხარეების გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კულტურათა სისტემაში.

იგი ერთგვარი ცდაა, მოპოვებული მასალების საფუძველზე, კავკასიის უძველეს მოსახლეთა და მათ მემკვიდრეთა სულიერი კულტურის და რწმენა-წარმოდგენათა რეტროსპექტივისა.

## Preface

This paper describes a recently discovered archaeological site of the Late Bronze Age (XII-X BC) on the top of Mount Nazarelli at the top of the Shirak Mountains, and also makes preliminary assumptions and conclusions about its location in the Central Caucasus. Late Bronze Age of the surrounding area - in the system of culture of the Early Iron Age.

This is a kind of experiment based on the materials obtained, a retrospective of the spiritual culture and beliefs of the ancient inhabitants of the Caucasus and their descendants.

## Vorwort

Dieser Artikel beschreibt eine kürzlich entdeckte archäologische Stätte der späten Bronzezeit (XII-X v. Chr.) auf dem Gipfel des Berges Nazarelli an der Spitze des Shirak-Gebirges und macht auch vorläufige Annahmen und Schlussfolgerungen über ihre Lage im Zentralkaukasus. Spätbronzezeit der Umgebung - im Kultursystem der frühen Eisenzeit.

Dies ist eine Art Experiment, das auf den erhaltenen Materialien basiert, ein Rückblick auf die spirituelle Kultur und den Glauben der alten Bewohner des Kaukasus und ihrer Nachkommen.

# შესავალი

ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის ისტორია, საბედნიეროდ, ასწლეულებს სწვდება.

ჩვენს ხელთაა უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც წინამორბედთა თავდაუზოგავი ღწვისა და დიდი შრომის შედეგადაა შექმნილი.

გასული XX საუკუნის საუკუნის 30-ანი წლებიდან, იმ დროს არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში, ჩვენში, შემუშავდა და დაინერგა რიგი საკვალიფიკაციო მიდგომებისა, რომელთა ფონზეც, ათწლეულების განმავლობაში, ქართულ აკადემიურ სივრცეში (რომელიც, თავის მხრივ, ნაწილი გახლდათ უფრო ვრცელი აკადემიური ველისა; თუმც კი, ერთგავარდ მაინც თავისთავადი და ორიგინალური), ხდებოდა ქართველი ერისა და ზოგადად, რეგიონის ხალხთა ისტორიის და კულტურის შესწავლა-გასიგრძეგანება.

დღეს კი, თანამედროვე ეტაპზე (განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოდან), როდესაც ქართველი ერი კვლავ დაადგა მორიგი თვითგანახლებისა და თვითდამკვიდრების გზას (რასაც იგი, საკუთარ ცხოვრებაში, ჩამოყალიბებისა თუ განვითარების სხავადსხვა ეტაპზე, არცთუ იშვიათად დასდგომია), შესაბამისად, გადასახედ-გადასამუშავებელი გახდა ბევრი, აქამდე უდავოდ მიჩნეულ-გაზიარებული დებულება თუ ისტორიული მოვლენისადმი ჩამოყალიბებული შეფასება-დამოკიდებულება.

ცნობილია, რომ ამგვარ, გარდამტეხ მომენტებში, ხშირად, ახალი ძალით იჩენს ხოლმე თავს შემოქმედებითი ენერგია, რისი დასტურიცაა, თუნდაც, ქართველი ერის თანამედროვე, მრავალწახნაგოვანი ყოფა და ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრება.

სწორედ შექმნილმა გარემოებამ გაგვაბედინა ჩვენც, ქართველ მეცნიერ-მკვლევართა მიერ დატოვებული

მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ფონზე, კვლავ მივბრუნებოდით ქართველი ერის წინარე და ძველი ისტორიის რიგი საკითხების შესწავლა-ანალიზს; განსაკუთრებით იმ მასალის საფუძველზე, რომელიც ახლა უკვე უშუალოდ, თანამედროვე მომენტში, ჩვენი კოლეგებისა თუ ჩვენი ძალისხმევით იქნა მოპოვებულ-მოძიებული და შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში [იხ. ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2017-2018-2019-2021; ციხეგორს გალობს ბულბული].

და თუკი, წარმოდგენილი ნაშრომი, მკითხველთა და კოლეგათა შორის, კიდევ ერთხელ აღძრავს მშობელი ერის ისტორიაში ჩაღრმავების სურვილს, თავს ბედნიერად ჩავთვლით და დიდი სიამოვნებით მივიღებთ ყველა არგუმენტირებულ შენიშვნასა თუ კომენტარს.

სანამ უშუალოდ განსახილველ საკითხებზე დავიწყებდეთ მსჯელობას, გვინდა დასაწყისშივე აღვნიშნოთ, რომ როგორც ეს უკვე შენიშნულია,[1] ჩვენეული კვლევის ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება საკვლევი საკითხებისადმი ორგვარი მიდგომა:

1. ერთის მხრივ, ვცდილობთ გამოვავლინოთ ჩვენი კვლევის კონკრეტული ობიექტის (მოცემულ შემთხვევაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ახლადგამოვლენილი ნაზარლების სამლოცველოს), როგორც მოცემული ქრონოლოგიური პერიოდის საზოგადოების მატერიალური და სულიერი ყოფის შემადგენლი კომპონენტის ის მხარეები, რომელთა

[1] ალ. ჯავახიშვილი, რეცენზია ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომზე – საცხოვრისი ეთნიკურ ყოფაში (აღ. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ. 1989. საკუთარი არქივი.

საფუძველზეც შესაძლებელი გახდება კონკრეტული სოციალური ჯგუფისთვის თუ ორგანიზაციისთვის (რომლის წიაღშიც იშვა და ჩამოყალიბდა ეს თუ ის არტეფაქტი ან კულტურულ-სოციალური მოვლენა) დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტების ფიქსირება და შესაბამისად, ამის შემდეგ, დავსახოთ მათი შესწავლის პერსპექტივა და გზები;

2. მეორეს მხრივ, არსებული მრავალრიცხოვანი და მრავლისმეტყველი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ სხვა წყაროთმცოდნეობითი მონაცემებიდან და არტეფაქტებიდან, კვლევის საყრდენად გამოვყოთ ისეთი ელემენტები, რომელთა ინტერპრეტაციაც, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რეალურადაა შესაძლებელი.

ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, საკვლევ რეგიონში (მოცემულ შემთხვევაში ცენტრალური ამიერკავკასიის აღმოსავლეთ რეგიონში) მიმდინარე კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო პანორამას გადაგვიშლის; რაც, გარკვეულწილად, ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს აქ ათასწლეულთა მიღმა მიმდინარე ეთნო-სოციალურ და ისტორიულ პროცესებს.

იმის მიუხედავად, რომ ქართველი ერის ისტორიის ადრეული ეტაპები საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი მკვლევართა მიერ, და გარდა ამისა, არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად დაგროვილი და შესწავლილია დიდძალი ფაქტობრივი მასალა, ვფიქრობთ, რომ მაინც, საჭიროა, თუნდაც ზემოთ უკვე აღნიშნული ახლადმოძიებული წყარო-მასალების საფუძველზე, მათ ხელახალი გასიგრძეგანება ერთობლიობაში – ერთგვარ რეტროსპექტულ ჭრილში.

მით უმეტეს, ეს მაშინ, როდესაც, როგორც ამას დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს, აქ მოსახლე ადგილობრივი წარმომავლობის ხალხთა „შორეული წინაპრები (**ადრე ისტორიულ ხანაში – პ.ბ.**), ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც

კი უნდა ჰქონოდათ... და გარდა ამისა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ“ [ჯავახიშვილი ივ. 1992, 622].

XX ს-ის 80-90-ანი წლებიდან, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე ჩვენშიც, ფეხს იკიდებს და მკვიდრდება სამეცნიერო-კვლევითი დარგთაშორისი ინტეგრაცია; რომლის ნათელი დადასტურებაცაა ეთნოარქეოლოგიის, როგორც გამოკვეთილ საისტორიო-საკვლევაძიებო მიმართულების ჩამოყალიბების პროცესი [იხ.: ჩიქოვანი თ.; Noll E., Struwe R.; Krafeld-Daugherty M.; Assman J.; Bergeman J.].

გაზიარებულია, რომ ეთნოარქეოლოგიური კვლევების მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო ეთნოგრაფიული დაკვირვებების შედეგად, შესაბამისი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული ადრეული წყარო-მასალების შინაარსობრივი და ფუნქციური რაობის გასარკვევად; შესაბამისი დასკვნების შესამუშავებლად იმ სოციალური-ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ყოფითი ფორმების აღდგენის მიზნით, საიდანაც მომდინარეობს ეს არტეფაქტები და წყარო-მასალები.

ჯერ კიდევ, XIX საუკუნის გარიჟრაჟზე, ცნობილი ფრანგი ნატურალისტი ა. ჟუსსიე (Adrien-Henri de Jussieu) საფრანგეთში აღმოჩენილ ქვის იარაღებს, მათ ფორმებსა და ფუნქციებს უდარებდა ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ყოფაში იმჟამად ფუნქციონირებად ნივთებს იგი, მათზე დაყრდნობით, ცდილობდა ასე აეხსნა მის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების არსი.

დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ა. ჟუსსიე იყო პირველი „ეთნოარქეოლოგი“, რომელმაც

გამოიყენა ეთნოარქეოლოგიური პარალელები და რომელიც უძველეს არქეოლოგიურ ნივთთა ფუნქციების ასახსნელად ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობოდა [Krafeld-Daugherty 1994, 12-13].

XIX საუკუნის დამლევისთვის, ევოლუციონიზმის იდეების გავრცელებასთან ერთად, ლ. ჰ. მორგანისა და ჰ. სპენსერის ნაშრომებში მრავლად ვხვდებით ეთნოგრაფიული პარალელების გამოყენების მაგალითებს.

რამდენადაც „ევოლუციონიზმი“, იმ პერიოდში გავრცელებულ მიმდინარეობას წარმოადგენდა, მიჩნეული იყო, რომ ყოველი ნივთი – უნივერსუმი, ქიმიური ან ბიოლოგიური ფორმა, აგრეთვე საზოგადოება და კულტურა საერთოდ, საფეხურობრივ ევოლუციურ პროცესს ექვემდებარებოდა, რომელიც განვითარების სხვადასხვა სტადიას გადიოდა.

ამ კონცეფციის თანახმად, მაგალითად, ლ. ჰ. მორგანი თავის 1877 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი საზოგადოება“, კაცობრიობას და მის კულტურას, ევოლუციური განვითარების მიხედვით, სამ საფეხურად – „ველურობად“, „ბარბაროსობად“ და „ცივილიზაციად“ ჰყოფდა [ეთნოლოგიის ქრესტომათია, 188-215].

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ არსებობს ორგვარი მიდგომა კაცობრიობის ისტორიისადმი:

<u>პირველი</u> – კაცობრიობის ისტორიას განიხილავს როგორც ერთიან პროცესს, მიმდინარეს საფეხურობრივი აღმავალი ხაზით. ისტორიის ამგვარი გაგება გულისხმობს კაცობრიობის განვითარების ერთიან გააზრებას და მას შეიძლება უნიტარული, ანუ უნიტარულ-სტადიალური ხედვა ვუწოდოთ. უნდა ითქვას, რომ ამდაგვარი მიდგომა კაცობრიობის ისტორიისადმი არახალია და მან ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა გამოიყო ძირითადი სტადიები კაცობრიობის ისტორიისა – ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია (ლ. მორგანი, ა. ფერგიუსენი და სხვები); შესაბამისად, საზოგადოების ისტორია დაიყო სამონადირეო-შემგროვებლურ, მესაქონლეობის,

მიწათმოქმედების და სავაჭრო-წარმოებით პერიოდებად (ა. ტიუგრო, ა. სმიტი და სხვ.). ამდაგვარ მიდგომასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში გამოიყოფა ჯერ სამი და შემდგომ ოთხი მსოფლიო-ისტორიული ეპოქა – ძველაღმოსავლური, ანტიკური, შუასაუკუნეებისა და ახალი (ლ. ბრუნი, ფ. ბიონდო, კ. კელერი).

დღესდღეობით, საზოგადოების ისტორიის, უნიტარულ-სტადიალურ ჭრილში კონცეპტუალური გააზრების ორი ძირითადი სახე არსებობს. ერთია – მარქსისტული, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ისტორიის განვითარების საფეხურებად გამოიყოფა ხან ხუთი, ხან ექვსი სტადია-ფორმაცია (პირველყოფილ-თემური, აზიატური, ანტიკური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური). ხოლო მეორე – სახელდებულია საზოგადოების ისტორიის გააზრების პოსტინდუსტრიალურ კონცეფციად (დ. ბელლი, ე. ტოფფლერი, ზ. ბზეჟინსკი და სხვ.). პოსტინდუსტრიალისტები კაცობრიობის ისტორიაში შემდეგ სტადიებს გამოყოფენ: 1. ტრადიციონალური (აგრარული) საზოგადოება; 2. ინდუსტრიალიზებული (საწარმოო) საზოგადოება და 3. პოსტინდუსტრიალური (ზეინდუსტრიალური, სერვისული, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და სხვ.) საზოგადოება.

ჩვენში, საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული იყო ისტორიის უნიტარულ-სტადიალური გააზრება მის მარქსისტულ, ფორმაციულ ვარიანტში.

<u>და მეორე</u> – თანამედროვე ეტაპზე, პირველის, ანუ – უნიტარულ-სტადიალური ხედვის საწინააღმდეგოდ, მიღებულია ისტორიის სხვაგვარი, „ცივილიზაციურ-ისტორიულად“ სახელდებული გააზრება. იგი მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა განიყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ წარმონაქმნად, რომელთაგანაც თითოეულს თავისი დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია.

პლურალიზმი ისტორიის ხედვაში, უცილობლად ეთანხმება ციკლურობას, რაც განაპირობებებს კიდეც

ყოველი ასეთი წარმონაქმნის აღმოცენებას, განვითარებას და, ადრე თუ მალე, უცილობელ კვდომას.

თითოეული ამდაგვარი ერთეული, ყველაფერს თავიდან იწყებს. ამდენად, ახალს იგი ვერაფერს ქმნის. გამომდინარე აქედან, ასეთი წარმონაქმნები სრულიად თანაბარი და ექვივალენტურია. არცერთი მათგანი, თავისი განვითარების დონით, არც უსწრებს და არც ჩამორჩება მეორეს. თითოეული ასეთი წარმონაქმნი ვითარდება, მაგრამ მთლიანობაში კაცობრიობა არ განიცდის არც ევოლუციას და არც პროგრესს.

ამგვარი ხედვის მიხედვით, არსებობს მრავალი ისეთი ისტორიული წარმონაქმნი, რომელთაც თავ-თავისი საკუთარი „ისტორიები“ გააჩნია. მთლიანობაში კი, კაცობრიობის მთელი ისტორია არის ერთიანი უწყვეტი გამეორება ერთი და იგივე პროცესთა ერთობლიობისა. ე.ი. მიმდინარეობს მრავალათვლადი, ციკლური, მუდმივი ბრუნვა.

მაშასადამე, ამ შეხედულების თანახმად, არ არსებობს თანამიმდევრულობა, როგორც განსაკუთრებული პროცესი. შესაბამისად, არც შეიძლება საუბარი ადამიანთა საზოგადოების განვითარების სტადიებზე და ამასთანავე, მსოფლიო ისტორიის ეპოქებზე. ისტორიისადმი ამგვარ მიდგომას, პლურალისტურ მიდგომას უწოდებენ.

ისტორიის პლურალისტური გაგება დღეს არ აღმოცენებულა. მის სთავეებთან დგანან ჟ. ა. გობინო, ჰ. რიუკკერტი და სხვები. ისტორიული პლურალიზმის საფუძვლები, ძირითადში ნათლად ჩამოყალიბდა ნ. დანილევსკის მიერ, და განვითარება ჰპოვა ო. შპენგლერის, ა. ტოინბის, ლ. გუმელიოვის შრომებში [იხ. Асланов И.].

ეს მოაზროვნენი, კაცობრიობის ისტორიაში მათ მიერ განსაზღვრულ წარმონაქმნებს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებენ – ცივილიზაციებად (გობინო, ტოინბი), კულტურულ-ისტორიულ ინდივიდებად (რიუკკერტი), ეთნოსებად, ან სუპერეთნოსებად (ლ. გუმელიოვი); რასაც, პრინციპში, კონცეპტუალური გააზრებისათვის დიდი

მნიშვნელობა არც აქვს, რადგანაც ყოველ შემთხვევაში, ეს მოაზროვნენი ძირითადად ერთ კონკრეტულ რეალობას, შეიძლება ითქვას, ჯიშს, მოდგმას გულისხმობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებებიც, რომლის მიხედვითაც, მართალია, სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება როგორც მუდმივად განვითარებადი ფენომენი, მაგრამ განვითარების დინების საწინააღმდეგოდ, მის წიაღში მოედინება მეორე დინება გადაგვარებისა, მორალური და ევოლუციური ენტროპიისა. როგორც აღნიშნავენ (ლ. გუმელევი), მცირერიცხოვანი, ველური ტომები, მცხოვრებნი ცივილიზებული სამყაროს განაპირა მხარეებში, წარმოადგენენ შედეგს დეგრადაციისა. ეს ტომები იმყოფებიან არა სტარტზე, არამედ ფინიშზე საკუთარი ისტორიისა, ისინი წარმოადგენენ რელიქტებს ძველი ძლევამოსილი ხალხებისა, რომლებიც ადრე, ოდესღაც სამყაროს ცენტრში ცხოვრობდნენ და შექმნეს ძველი ცივილიზაციები, რომელთა ნაშთებსაც ამჟამად აფიქსირებენ მკვლევარები. ზოგიერთი ხალხი (ტომი) „იყინება“ პირველყოფილი ველურობის დონეზე, ზოგიერთები კი გადაგვარდებიან და ადამიანური ველურობიდან ცხოველურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობამდე ეცემიან. ამ აზრს ეხმიანება პალეოზოოლოგთა დასკვნებიც, რომელთა თანახმადაც თანამედროვე ადამიანის უძველეს გენეტიკურ წინაპრებად მიჩნეული ე.წ. ადამიანის მსგავსი მაიმუნები (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი...) უფრო მეტად განვითარებული ყოფილან, ვიდრე მათი თანამედროვე სახეობები – დადიოდნენ ამართულად, გააჩნდათ ნაკლები ცხოველურობა და ა.შ. მაშასადამე, რეგრესი, გადაგვარება შესაძლებელია ყველა სახის ბოილოგიურ არსებაში, რის გამოც სათუო ხდება პერმანენტული და მუდმივი ევოლუციის უწყვეტობის უეჭველობაც.

თუკი ამდაგვარ პრიზმაში შევხედავთ თუნდაც რელიგიის ისტორიას, მაშინ გამოდის, რომ რამდენადაც ე.წ. „ველური“ ტომები წარმოადგენენ დეგრადირებულ ნარ-

ჩენებს ძველი ხალხებისა, იმდენად, დეგრადაცია მოიცავს ამ ტომების ცხოვრების ყველა მხარეს და მათ შორის სულიერ კულტურასაც. ე.ი. ავსტრალიელ აბორიგენთა, ტროპიკული აფრიკის ნეგროიდულ ტომთა, ან ამაზონიის ინდიელთა პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენები არა ჩანასახოვან ფორმებს, არამედ ადრეულ ხანაში უფრო განვითარებული რელიგიის გადაგვარების შედეგს წარმოადგენენ [იხ. Баксан Д. 1985].

თანამედროვე რელიგიათმცოდნეობა კი თავდაყირა აყენებს ყველაფერს; ამტკიცებს რა, რომ ერთღმერთიანობა (მონოთეიზმი) წარმოადგენს განვითარებას პრიმიტიული წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა.

არადა, შესაძლოა ყველაფერი პირიქითაც ყოფილიყო – ძველი, ადრეული ერთღმერთიანობა, შემდგომში დავიწყებული, „დაჩეხილი“ იქნა; დაცემულმა, გადაგვარებულმა ხალხებმა დაიწყეს თაყვანცემა არა თავად შემოქმედისა, უფლისა თვისისა, არამედ მისი ქმნული სამყაროსეული სხვადასხვა ელემენტისა; რაც თავისთავად მრავალღმერთიანობას, პოლითეიზმს, წარმართობას წარმოადგენს. ბიბლია გვეუბნება, რომ თავიდან კაცობრიობა ერთიანი იყო და ერთ მამა ღმერთს ეთაყვანებოდა. მაგრამ, შემდგომში ისინი ისე განზვიადდნენ, რომ იწყეს თავის უფალთან გატოლება, რის ალეგორიასაც ბიბლიაში ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის მიღება წარმოადგენს. ამ ცოდვის (უფალთან თავის გატოლების) გამო ისინი განიდევნენ ედემიდან, დაიქსაქნენ და დანაწევრდენ. დანაწევრდა მათივე ფსიქიკა და სულიერი ერთობა, გამრავლდა პირველცოდვა – მზვაობრივობა და გარყვნილება; რის ჩამოსარეცხადაც უფალმა კაცობრიობას წარღვნა მოუვლინა. გადარჩენილი მართალი ნოეს შთამომავლობა გამრავლდა კავკასიიდან. მაგრამ, რამდენადაც დიდი იყო საცდური ცოდვისკენ მიდრეკილი კაცთა გულისა, ღმერთმა ახლა უკვე ძე თვისი მხოლოდშობილი, იესო – „შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ (მრწამსი), მოუვლინა მათ, რათა მას საკუთარი სისხლით გამოესყიდა ცოდვანი კაცთა მოდგმისა.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა დაგვჭირდა იმისა გამო, რომ გვეჩვენებინა ის, თუ რა მრავალფეროვანი და ერთურთისგან განსხვავებულია დამოკიდებულება ზოგადად კაცობრიობის ისტორიისადმი; ისტორიისადმი, რომლის შემოქმედსაც და განუ-ყოფელ ნაწილს ეთნო-საზოგადოებრივი ერთობები წარმოადგენს.

ვუბრუნდებით მსჯელობას ეთნოარქეოლოგიის შესახებ და გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელწოდება – „ეთნოარქეოლოგია“, ალბათ, ჯერ კიდევ დასახვეწია; რადგანადაც იგი, მთლად სრულყოფილად ვერ უნდა ასახავდეს კვლევის იმ სფეროებსა და მიმართულებებს, რომელთა აღსანიშნავადაც ეს ტერმინი ინერგება ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპექტრში.

საფიქრებელია, რომ კვლევის ობიექტთან მიმართებაში ერთგვარი შეუსაბამობის სათავე, თვით ამ ხელოვნურად შედგენილი ტერმინის შინაარსობრივ გაუმართაობაშია საძიებელი. იგი ორი სიტყვის – ეთნოსის (το έθνος – ხალხი) და არქეოლოგიის (αρχαίος – ძველი და λογία – მცოდნეობა) ხელოვნურად შერწყმის შედეგადაა მიღებული და პირდაპირ თარგმანში „ხალხის სიძველეთმცოდნეობა“-ს ნიშნავს. თავისთავად, სიძველეთ-მცოდნეობა კი წყროთ-მცოდნეობის ნაწილი გახლავთ, რომელიც, თავის მხრივ, საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინად მოიაზრება [სიდამონიძე უ. 1978, 45].

მაშასადამე, სრულიად ნათელია, რომ ცალკე ტერმინი – არქეოლოგია, ქართულად, სიტყვა-სიტყვით „სიძველეთმცოდნეობა“-ს აღნიშნავს.

სწორედ ამგვარი მნიშვნელობით ხმარობდა მას, ჯერ კიდევ ქართული სამეცნიერო აკადემიზმისა და ქართული არქეოლოგიის ერთერთი მესაძირკვლე ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელიც სავსებით მართებულად გამოჰყოფდა ამ სფეროდან ცალკე გათხრით არქეოლოგიას – გათხრით

სიძველეთმცოდნეობას. ეს თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ დიდ მეცნიერს „გათხრა“, სიძველეთმცოდ-ნეობითი მასალების მოძიების ერთ-ერთ ხერხად, წყაროების მოძიების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა მხოლოდ და არა ცალკე აღებულ დარგად. ანუ, კონკრეტულად ამ შემთხვევაში მთავარია, ძირეულია წყარო, რომლის მოპოვების ერთ-ერთი ხერხიც „არქეოლოგიაა“ დღევანდელი გაგებით. თავის მხრივ, კი წყარო, ამჯერად გათხრითი მეთოდებით მოძიებული, მეცნიერის, მკვლევარის მიერ ჩაყენებულია კვლევის ძირეული ობიექტის (ხალხის, ერის) შესწავლის საქმეში.

კონცეპტუალურად სწორედ ამგვარი მიდგომა ახასიათებს დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევებსაც; სადაც შესწავლის ძირეულ ობიექტს, რომელიმე ცალკე აღებული სოციალური ერთობა ან პოლიტიკურ-კარტოგრაფიული ერთეული (თუნდაც „საქართველო“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) კი არ წარმოადგენს, არამედ მეცნიერის ყურადღების მთავარი საგანი, სიღრმისეული კვლევის მთავარი ობიექტი და ორიენტირია – ერი, ჯიში, რომლის ამქვეყნიური არსებობის სივრცისეულ ნაკვალევსაც მის წიაღშივე არსებული სოციალური ფენები, სახელმწიფოებრივ – პოლიტიკური საზღვრები ან კიდევ სხვა ყოფითი მხარეები ნათელჰყოფენ. სწორედ ამისა გამო უწოდა მან თავის სათაო ნაშრომს – „ქართველი ერის ისტორია“ და ამიტომაც ცდილობდა იგი ამ ფორმით დაემკვიდრებინა ეს სახელწოდება საისტორიო-საკვალიფიკაციო ტერმინად. დიდი მეცნიერი პირდაპირ გვეუბნება, რომ „ისტორიკოსის ამოცანაა გაარკვიოს იმ ჰიპოთეზათა სისწორე თუ მცდარობა, რაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიტანოს ახალი მონაცემების ანკარა ნაკადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური განმასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანა“ [ჯავახიშვილი ივ. 1960, 392].

დიახაც, მას კაცობრიობის ისტორია ერების, ხალხების და საზოგადოდ ჯიშების ისტორიად მიაჩნდა და არა მხოლოდ საზღვრებცვლადი პოლიტიკური ერთეულების (რაც ოდენ ერის, ჯიშის გარემოსთან ადაპტაციის შედეგს წარმოადგენს) ისტორიად.

დიდი მეცნიერი საზოგადოების ისტორიას, წარმომავლობითი სისხლისმიერი ერთობების, მოდგმათა სივრცული არსობის რაკუსში სჭვრეტდა.

ახლა, რაც შეეხება ხალხთმცოდნეობით სამეცნიერო დისციპლინას – ეთნოლოგიას; ცნობილი ფრანგი სტრუქტურალისტის, კლოდ ლევი სტროსის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიაში წვდომისათვის, არ არის საკმარისი მხოლოდ ფაქტების, მოვლენებისა თუ ცალკეულ ყოფით ნივთთა თვისობრიობის დაფიქსირება. აუცილებელია, ძირეულად ჩავსწვდეთ მათ არსს და მიზეზ-შედეგობრივად გავისიგრძეგანოთ მათი ადგილი საზოგადოებრივ ყოფაში. ამის მიღწევა კი ეთნოლოგიის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თუ სოციოლოგია შემოიფარგლება მხოლოდ აწმყოს გაგებით, მაშინ იგი ვერ მიაღწევს მიზანს, რადგანაც აწმყო წარსულის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ყოველივე, რაც აწმყოში ხდება, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მხოლოდ ისტორია იძლევა უზოგადეს კანონთა და ღირებულებათა შკალის შესაბამისად აწმყოს ელემენტთა დაყოფის შესაძლებლობას.

ამდენად, წარმოუდგენელია ისტორიისა და ეთნოლოგიის ურთიერთგათიშვა. შეუძლებელია ისტორიის არსებობა ეთნოლოგიის გარეშე; რამდენადაც, ყველანაირი აღწერითი და დაკვირვებითი ხასიათის კვლევა, ეთნოლოგიური პროფილისაა, იმდენად ყოველი ისტორიკოსისათვის, მაშინაც კი როდესაც იგი საზოგადოების ისტორიის შორეულ ეტაპებს ეხება, ეთნოლოგიური მასალა (**თუნდაც გათხრითი მეთოდებით მოძიებული – პ.ბ.**) ამოსავალი ხდება. რაც შეეხება ეთნოლოგიისა და ისტორიის მიმართებას, მეცნიერი თვლის, რომ მათ შორის არსებითი სხვაობა

არც კვლევის ობიექტში, არც კვლევის მიზანში და არც კვლევის მეთოდში არ შეინიშნება. მათ აქვს ერთი და იგივე კვლევის ობიექტი – სოციალური ცხოვრება; ერთი და იგივე მიზანი – ადამიანის უკეთ შეცნობა და ერთი მეთოდი. განსხვავება მხოლოდ ერთშია: ისტორია ყურადღებას სოციალური ცხოვრების ცნობიერი მოვლენების მიმართ წარმართავს, ხოლო ეთნოლოგია უფრო ამ უკანასკნელის არაცნობიერ ღირებულებათა კუთხით ამახვილებს თავის ყურადღებას [Токарев С.А.1978, 260-262; კოდუა ე. 1986, 9].

გამომდინარე ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენც, მოცემული ნაშრომის ძირითად მიზნად გვესახება – მოპოვებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ვაჩვენოთ ამგვარი კვლევის პერსპექტიულობა.

ჩვენი კვლვის მეთოდი, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითია; კვლევის პროცესში მოტანილ მასალებს ერთიმეორეს ვუდარებთ, ვაანალიზებთ და ვცდილობთ, არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით მოპოვებული მატერიალურად დადასტურებული კულტურის ელემენტები, სხვა მომიჯნავე დარგებთან ერთობლიობაში განვიხილოთ.

საკვლევი საკითხისა და მოძიებული მასალისადმი ამგვარი მიდგომა, საშუალებას იძლევა, თავისებურ სისტემაში მოვაქციოთ, ერთგვარ საკვლევ „კვალში“ ჩავაყენოთ არტეფაქტები; თუნდაც მათ, ერთი შეხედვით, საკულტო-რიტუალური ნიშნები არ გააჩნდეს.

ფაქტიურად, ჩვენი ამგვარი მიდგომა, კონკრეტულ შემთხვევაში, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ჯერ კიდევ აკად. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული და აწ უკვე კარგად აპრობირებული „კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი“-ს სივრცულ პერსპექტივაში ერთგვარ გავრცობას წარმოადგენს; რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენში საისტორიო მეცნიერების განვითარების და ამის საფუძველზე დიდძალი ფაქტობრივი მასალის დაგროვების შედეგად გახდა შესაძლებელი.

რაც შეეხება მოცემულ შემთხვევაში ჩვენი კვლევის პროფილს, იგი ალბათ, უფრო ერთგვარი „პალეოეთნოლოგიური“ – „ადრეხალხთმცოდნეობითი“ ხასიათისაა. გამომდინარე აქედან, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამგვარი მიდგომა უფრო ისტორიის ასპარეზიდან გამქრალ ეთნო-სოციალურ ერთობათა შესასწავლად წარმოებულ კვლევას მიესადაგება; თუმცა, აქვე დავსძენთ, რომ ქართველური – იბერიული მოდგმა, რომელიც კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას წარმოადგენს [იხ.: აბდუშელიშვილი მ. 1971; აბდუშელიშილი მ., 1981; Алексеев В.П. 1989], ათასწლეულთა მიღმა გახედვას არ გაურბის და თამამად უსწორებს თვალს შორეულ წინაპართაგან ჩვენსკენ მომართულ მზერას.

## I. ივრის ზეგანის და მიმდებარე მხარეების ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება (პალეოკლიმატური ცვლილებების ჩათვლით)

დღევანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი (ისტორიული ქიზიყი და უფრო ადრე – ჰერეთი) [ფიცხელაური 2018; პაპუაშვილი თ. 1982], საიდანაც მომდინარეობს ის არქეოლოგიური წყარო-მასალები, რომლის შესწავლა-ანალიზსაც ეთმობა წინამდებარე ნაშრომი, ივრის ზეგანს უჭირავს, რომელიც აქაური რელიეფის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია.

ივრის ზეგანზე განლაგებულია დიდი შირაქის აკუმულაციური ვაკე, რომელიც გაშლილია ალაზან-ივრის შუამდინარეთში.

მისი ზედაპირი, ზღვის დონიდან 560-700 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ვაკე შემოსაზღვრულია ქოჩების, ნაზარლების, შუანამთისა და არხილოსკალო-ყაშის დაბალი სერებით. დიდი შირაქის ვაკე აღმოსავლეთით უერთდება კასრისწყლის ვაკეს, რომელიც ეროზიული რელიეფით ხასიათდება.

ივრის ზეგანი უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადადის ელდარის დაბლობში, რომელიც წარმოადგენს დღევანდელი აზერბაიჯანის ნახევარუდაბნოთა უშუალო გაგრძელებას.

ელდარის დაბლობს უჭირავს ივრის მარცხენა სანაპიროს ზოლი, რომლის მაქსიმალური სიგანე არის 6-7 კმ, სიგრძე ივრის გასწვრივ – 20-22 კმ, ხოლო სიმაღლე – 100-200 მ. ელდარის დაბ-ლობი ცნობილია მშრალი კლიმატით. აქ წლიური ნალექიანობა 250-300 მმ-ს შეადგენს. ელდარის დაბლობი საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც ნამდვილი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია განვითარებული.

სურ. 1. ივრის ზეგანი

ამ მხარეში ჩამოყალიბებულია ორი ტიპის ჰავა. სამხრეთ ნაწილში – ცხელ-ზაფხულიანი, ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა; ჩრდილოეთ ნაწილში კი – ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.

აქ, საშუალო წლიური ტემპერატურა 10.3°C, ხოლო აბსოლუტურ მაქსიმუმი – 38°C. წლიურად 400-600 მმ ნალექი მოდის. შირაქის დაბლობი და დედოფლისწყარო შედარებით უხვნალექიანია, სადაც ნალექების წლიური მოცულობა შესაბამისად 540 მმ-სა და 650 მმ-ს აღწევს. ნალექების მინიმუმი ფიქსირდება ელდარის დაბლობზე (250-300 მმ), სადაც ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტია განვითარებული.

დღეს, მხარე მწირია წყლის რესურსებით. რომელიც წარმოდგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით. მცირე რაოდენობით არის ჭარბტენიანი ტერიტორიებიც, რომლებიც ძირითადად მდინარის ჭალაშია განლაგებული. ჭარბტენიანი ტერიტორიების ფართობი შეადგენს 150 ჰა-ს [მარუაშვილი ლ. 1978].

რეგიონი, ამჟამად აშკარად განიცდის გაუდაბნოების პროცესის მკვეთრ უარყოფით ზეგავლენას. ამის ძირითადი მიზეზია უკანასკნელ ათწლეულებში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის არასწორი წარმართვა (ინტენსიური ძოვება, ინტენსიური მიწათმოქმედება, არასწორი მელიორაცია და სხვა.), რისი ხელშეწყობითაც გაუდაბნოების პროცესი აქ თანდათანობით იღებს შეუქცევად ხასიათს. ასეთ პირობებში ადგილი აქვს სინოტივის მკვეთრ დეფიციტს, რის გამოც გარეჯა-ივრის რაიონი მუდმივ მდინარეებს მოკლებულია. რაიონის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ მწარე-მლაშე წყაროებია გავრცელებული, რაიონის ზედაპირი კი მეორადი (ანთროპოგენური) წარმოშობის ფლორისტულად ძლიერ გაღარიბებული, ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელი მცენარეული ასოციაციებით (ურო, ავშანი, ხურხუმო და სხვა) არის დაფარული [ჯანელიძე ზ. 2008, 233-238].

პალეოგეოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით დასტურდება, რომ წარსულში, გარეჯა-ივრის რაიონის არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების ადგილებში, განვითარებული იყო ნათელი ტყის, ბუნებრივი ურიანი და ურიან-ვაციწვერიანი სტეპებისა და მუხნარ-რცხილ-

ნარი ტყეების ლანდშაფტი. ბრინჯაოს ხანაში ბუნებრივ ლანდშაფტებზე განუხრელად მზარდმა ანთროპოგენურმა დატვირთვამ პირველ რიგში ტყის განადგურება და შესაბამისად, კლიმატის მკვეთრი არიდიზაცია გამოიწვია. თანდათანობით დაირღვა ნიადაგსა და ჰაერის მიწისპირა ფენებში ტემპერატურასა და ატმოსფერულ ნალექებს შორის ადრე არსებული თანაფარდობა, მოიმატა აორთქლებადობამ, მოიკლო ნიადაგის ტენშემცველობამ და წარმოიქმნა სინესტის მკვეთრად უარყოფითი ბალანსი. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ გარეჯა-ივრის ქვერაიონის ძველი მოსახლეობის მოთხოვნილება მტკნარ წყალზე ადგილობრივი წყაროებით იყო უზრუნველყოფილი. რაიონის კლიმატის მკვეთრმა არიდიზაციამ გამოიწვია ნეოგენის პერიოდის ზღვიური წარმოშობის ქანებიდან (რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული გარეჯა-ივრის რაიონში) ადვილად ხსნადი მარილების გამოტუტვის პროცესის გაძლიერება [ჯანელიძე ზ. 2008, 233-238].

შესაბამისად, მტკნარი წყაროები მწარე-მლაშე წყაროებით იქნა შეცვლილი. კლიმატის მკვეთრი არიდიზაცია, მტკნარი წყაროების გაქრობასთან ერთად, შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ანტიკური პერიოდის დასაწყისში (ძვ. წ. VII-V-სს.) მუდმივი მოსახლეობა ტოვებს გარეჯა-ივრის რაიონს.

აქ მხოლოდ ახ. წ. VI ს-ში დაფუძნებულ გარეჯის სამონასტრო ძეგლებზე გრძელდება უწყვეტი სამონასტრო ცხოვრება.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ გაუდაბნოების პროცესი გარეჯა-ივრის რაიონში და მიმდებარე ტერიტორიებზე თანამედროვე გლობალურ დათბობამდე გაცილებით ადრე დაიწყო და ძირითადად განპირობებული იყო არა კლიმატის ბუნებრივი არიდიზაციის გავლენით, არამედ რაიონის ბუნებრივი ლანდშაფტების შეუქცევადი ანთროპოგენური მოდიფიკაციით [ჯანელიძე ზ. 2008, 233-238].

გამოკვლევებით დასტურდება, რომ გარეჯა-ივრის რაიონში ანტიკურ პერიოდში უკვე იყო ჩამოყალიბებული მშრალი ველისა და ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელი ჰიდროკლიმატური რეჟიმი, რამაც დასაბამი მისცა გაუდაბნოების პროცესის დაწყება-განვითარებას. გაუდაბნოების პროცესი ამ რაიონში გამოვლინდა აღმოსავლეთიდან – მტკვარ-არეზის დაბლობის ნახევარუდაბნოდან ავშანის, ყარაღანის, ხურხუმოსა და ნახევარუდაბნოს სხვა მცენარეული სახეობების გავრცელებით.

ანტიკურ პერიოდშივე უნდა დაწყებულიყო ნეოგენის ადვილადშლადი ქანებით აგებული მთებისა და სერების ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვა, მათი ძლიერი დანაწევრება, ბედლენდური რელიეფის, მშრალი და ვიწრო ხევების განვითარება, რაც გარეჯა-ივრის რაიონის რიგ უბნებში უდაბნოს ტიპის რელიეფის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გარეჯა-ივრის რაიონის ლანდშაფტების განვითარების ისტორია იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში „გაუდაბნოების შესახებ“ (1994 წ.) მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, რომლებსაც თანამედროვე გლობალური დათბობისა და ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად გაუდაბნოება ემუქრებათ, ამიერკავკასიაცაა მოხსენიებული [ჯანელიძე ზ. 2008, 233-238].

## 2. ივრის ზეგნის ცენტრალურ უბანზე გამოვლენილი ძეგლების ზოგადი დახასიათება

ივრის ზეგნის ცენტრალურ უბანზე – გარეჯა-ივრის რეგიონში, რომელიც მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიუხვით გამოირჩევა (დავით-გარეჯის შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსები, კლდეში ნაკვეთი ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები...), არქეოლოგების მიერ გამოვ-

ლენილი იქნა პალეოლითის ხანისა და ბრინჯაოს ხანის ყველა საფეხურის (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი – II ათასწლეულის დასასრული) არქეოლოგიური ძეგლების (ნაქალაქარები, ნასოფლარები, ყორღანული სამარხები) მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსები [იხ. კრებ. გარეჯი].

არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ გარეჯა-ივრის რაიონი, ადამიანს მუდმივად ჰქონდა ათვისებული ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრიდან ანტიკური პერიოდის დასაწყისამდე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებით დათარიღებული ქალაქური ტიპის დასახლებების უზარმაზარი კომპლექსის ნაშთების აღმოჩენა [ფიცხელაური კ, 1988; 14-17].

რეგიონში ჩატარებულმა პალეოგარემოს აღდგენითმა დარგთაშორისმა სამუშაოებმაც ნათელი გახადა, რომ ივრის ზეგანზე ადრეული ქალაქური სისტემების გაჩენა-ჩამოყალიბებას მყარი საფუძველი შეუქმნა, აქ მოსახლე ქართველური ტომების მიერ, მდიდარი ადგილობრივი რესურსების სწორმა და წარმატებულმა გამოყენებამ. ამის საფუძველი უნდა გამხდარიყო მათ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, განვითარებულ მორწყვითი მიწათმოქმედებასთან ერთად, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მნიშვნელოვანი წილიც. ივარაუდება, რომ სწორედ ეს უნდა ქცეულიყო ივრის ზეგანზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების და ამის შედეგად დამოგრაფიული აღმავლობის საწინდრად [ფიცხელაური კ., 2018, 11].

აღნიშნულის შედეგად დადგინდა, რომ გარეჯა-ივრის რაიონში 3000-3300 წლის წინ არსებობდა ქალაქური ტიპის მძლავრი დასახლებები.

არქეოლოგიური მასალების ანალიზი მოწმობს, რომ გარეჯა-ივრის რაიონის იმდროინდელ მოსახლეობას მაღალ დონეზე ჰქონდა განვითარებული მიწათმოქ-

მედება და მესაქონლეობა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, მეტალურგიული საქმიანობა – რკინის გამოდნობა და მისი ექსპორტი, რაც აღნიშნული დასახლებების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაქალაქარი „ნაომარი გორა“, რომელიც 1983 წლიდან ქართველი არქეოლოგების, ხოლო 1999 წლიდან ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შეისწავლება (ხელმძრვანელები კ. ფიცხელაური და მ. კორფმანი). არქეოლოგების მტკიცებით, „ნაომარი გორა“ არის კავკასიაში უძველესი – ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის, უფრო ზუსტად, რადიოკარბონული თარიღების მიხედვით, ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებით დათარიღებული ნაქალაქარი [Knauß F., 187-210].

საინტერესოა, რომ „ნაომარი გორა“ დაგეგმარებულია წინასწარ შედგენილი პროექტით და თითქმის იმეორებს ქრონოლოგიურად მასთან ახლოს მდგომი ხეთური (წინააზიური) ცივილიზაციის ქალაქების კვარტალთა დაგეგმარებას. ამ ნაქალაქარზე გამოვლენილია ქვით ნაგები საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო და საფორტიფიკაციო გრანდიოზული ნაგებობების ნაშთები, ქალაქის დამცავი კედლები, რომელთა სისქე 5 მ-ს აღემატება და სხვა.

ნაქალაქარი „ნაომარი გორა“ კავკასიაში ჯერ-ჯეროობით ძვ. წ. II ათასწლეულის ერთადერთი ძეგლია, რომლის ქვის არქიტექტურა საუცხოოდ არის შემორჩენილი.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მოცემული მხარე ჰერეთად მოიხსენიება, რომელიც, ლეონტი მროველის მიხედვით, უძველესი დროიდან მოიცავს ივრისა და ალაზნის აუზის შუა და ქვემო დინებას დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდების ძირობასა და მტკვარს შორის: „ხოლო ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილოთა, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ალაზანთასა,

და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ [ქართლის ცხოვრება, 5].

მკვლევარ ისტორიკოსთა აზრით, ლეონტი მროველს, ტექსტის ამ ნაწილის შედგენისას ხელთ ალბათ ჰქონდა დღევნდლამდე მოუღწეველი ძველი წყაროები. ეს სრულიად რეალური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ასეთივე დაწვრილებით აღვიწერს იგი ჰეროსის ძმების – ქართლოსისა და ეგროსის და შემდგომ ქართლოსის შვილთა განსახლების არეალებს.

როგორც აკად. კ. ფიცხელაური ფიქრობს, ამ ცნობების სანდოობაზე მიგვითითებს ისიც, რომ იგი ეპოქალურად ემთხვევა საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტემდე II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და შემდგომ I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური კულტურების გავრცელების საზღვრებს.

მისი აზრით, ეს თანხვედრა იმდენად ზუსტია, რომ სრულიად უნდა გამოირიცხოს შემთხვევითობა. ყოველივე ეს ცხადია, ერთის მხრივ გვიდასტურებს ლეონტი მროველის თხზულების მონაცემთა სისწორეს; მეორეს მხრივ კი გვითარიღებს მათ და საფუძველს გვაძლევს დავფიქრდეთ შესაბამის არქეოლოგიურ კულტურათა ეთნიზაციის პრობლემაზე [ფიცხელაური კ., 2018, 4]. აქ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ წერილობითი წყაროსა და მატერიალური კულტურის მონაცემები, ერთიმეორეს ემთხვევა. დასაწყისში ისინი კავკასიის ეთოკულტურულ ერთიანობაზე მიგვითითებს და მოგვიანებით კი ნაწევრდება, შემადგენელი ნაწილების საზღვრების ზუსტი დამთხვევით, რაც რეალურ საფუძველს ქმნის კულტურების ეთნიზაციაზე სასაუბროდ [ფიცხელაური კ., 2018, 5].

აღნიშნული ტერიტორია (ჰერეთი) ადრეული ყორღანების ეპოქის (ალაზნურ-ბედენური და მარტყოფული ეტაპებით) კულტურის გავრცელების ძირითად მხარეს წარმოადგენს და იგი, ისტორიული აღმ. საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად, ერთი სამყაროს ერთიანი,

განუყოფელი ორგანული ნაწილია, განსხვავებული თანადროული გარე სამყაროსაგან [ფიცხელაური კ., 2018, 7].

ამჟამად არსებობს შირაქის ზეგანის ჩათვლით კულტუროგენეზისის მყარი ბაზა, რათა დამაჯერებლად ვისაუბროთ აღმ. საქართველოს საზოგადოების უწყვეტ ეთნოკულტურულ წარსულზე უკვე ქრისტემდე მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან და ჰერეთი და ჰერები კი ამ პროცესის ძირითად მონაწილედ და შემოქმედად ვივარაუდოთ [ფიცხელაური კ., 2018, 8].

აგრეთვე მიჩნეულია, რომ ქრისტემდე III ათასწლეულიდან ეს მხარე (ჰერეთი), მატერიალური კულტურის გენეზისის თვალსაზრისით, მკვეთრად ემიჯნება სამხრეთ კავკასიის სხვა კულტურებს და ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურების სისხლხორცეული ნაწილია [ფიცხელაური კ., 2018, 10].

ივრის ვაკეზე და მის მიმდებარე მხარეებში, რომელშიც გარეჯის მრავალმთაც უნდა ვიგულისხმოთ, ქრისტემდე II ათასწლეულის დასასრულიდან ადრეურბანული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ მყარი ეკონომიკური საფუძველი არსებობდა [ფიცხელაური კ., 2018, 13].

ამგვარად, ქალაქურ დასახლებებს, ივრის ზეგანზე თანადროულ ძეგლებს შორის სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. ყველა მათგანი, საგანგებოდ, გარემოსთან შესაბამისობაშია ნაგები წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით. მშენებლობა, მაღალ პროფესიულ დონეზე, კარგად გააზრებული გეგმარებითაა განხორციელებული. მის შესასრულებლად კოლოსალური რაოდენობის მასალა და შრომითი რესურსია მოძიებული და გამოყენებული; რაც მხოლოდ მძლავრი ცენტრის მიერ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული და წარმართული.

ამ მონაცემების მიხედვით, ბუნებრივია, ქრისტემდე II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისში, ამ მხარეში, კარგად ცენტრალიზებული,

ადრექალაქური ცივილისაციის არსებობაზე შეიძლება დაბეჯითებით ვისაუბროთ. ამაში კი სხვადასხვა საქმიანობასთან ერთად, ძირითადად აქ, ივრის ზეგანზე, ძირითადად მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარებულმა ეკონომიკამ შეასრულა [ფიცხელაური კ., 2018, 15].

## 3. ნაზარლების ნამოსახლარის და სამლოცველოს მოკლე აღწერა[2] და ეთნოარქეოლოგიური რეტროსპექტივის ცდა

სამეცნიერო საზოგადოებისთვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ მოყოლებული 2017 წლიდან, მთა „ნაზარლებზე“[3] (შირაქი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მდებარე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაქალაქარს (იხ. ტაბ. I სურ. 1), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა და ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია შეისწავლის.

ექსპედიცია დაფინანსებულია გერმანული მხარის მიერ; კვლევითი პროექტი კი, ილიას უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ 2007 წელს შემუშავებული საუნივერსიტეტო პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევით პროექტი, ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

---

[2] ამ თემაზე, ჩვენი ხელმძღვანელობით მზადდება სადოქტორო დისერტაცია.

[3] გეოგრაფიული კოორდინატები:
603488.456 E 4577302.646 N
603747.219 E 4577299.471 N
603487.662 E 4577059.758 N
603750.394 E 4577060.552 N

და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე შემუშავდა და ფართო საზოგადოებას წარედგინა, როგორც სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი პროექტი, სახელწოდებით – „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ [იხ. კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, 2008]; რომლის ფარგლებშიც, ილიას უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორისა (პროფ. გიგი თევზაძე) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შედგა ორი კვლევითი ჯგუფი, რომლებმაც დაიწყეს ქვემო ქართლსა და შირაქის ველზე მდებარე უძველესი ნამოსახლარების არქეოლოგიური შესწავლა. ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში.

შემდგომში, რიგი ობიექტური თუ სუბიექტური პირობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იძულებული გახდა შეეჩერებინა სამუშაოები აღნიშნული მიმართულებით; თუმცა, თავად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (ემერიტუსი აკად. კ. ფიცხელაური, †პროფ. ვ. ვარაზაშვილი, პროფ. მ. ელაშვილი, პროფ. პ. ბუხრაშვილი და სხვ.) საკუთარი ძალისხმევით მაინც ახერხებდა აღნიშნული საკითხების გარშემო მუშაობას.

2015/16 წ-ის მიჯნაზე, ჩვენი DAAD-ის მორიგი კვლევითი სასტიპენდიო დაფინანსების ფარგლებში, გერმანიიის არქეოლოგიის ინსტიტუტში მივლინებისას, ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივესიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორთან, პროფ. ფელიქს ბლოხერთან (Prof. Dr. phil. Felix Blocher) შეთანხმების საფუძველზე, გადაწყდა ერთობლივი ძალებით ზემოთ აღნიშნული საუნივერსიტეტო პროექტის განახლება.

2016 წლის ნოემბრის თვეში, პროფ. ფ. ბლოხერის საქართველოში სტუმრობის პერიოდში, ქვემო ქართლისა და კახეთის არქეოლოგიური ძეგლების მონახულებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტუქტურის გაცნობის შემდეგ, დაიწერა კვლევითი განაცხადი გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების

წინაშე (DOG – Deutsche Orient-Gesellschaft), ნაზარლების გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ნამოსახლარზე პირველი[4] ფართო ხასიათის დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად თანხების გამოყოფის თაობაზე.

სწორედ, აღნიშნული საზოგადოებიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, შესაძლებელი გახდა წლების წინ შეჩერებული სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი პროექტის – „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ განახლება.

---

[4] საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არსებული არქეოლოგიური ძეგლი და სხვა მსგავსი ტიპის ძეგლები, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან გახლდათ ცნობილი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მხარეში, იმ პერიოდისათვის არსებული მთელი რიგი გასაიდუმლოებული სამხედრო ობიექტების (მაგ. დამრტყმელი ავიაპოლკი სოფ. ქვემო ქედთან და სხვა) არსებობის გამო, შეუძლებელი იყო იქ არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება. მოგვიანებით, ე.წ. „გარდაქმნის პერიოდში“, როდესაც, ამ მხრივ, ცოტა შერბილდა აკრძალვები, 1986 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ ცენტრთან არსებული კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელ. – აკად. კ. ფიცხელაური) ჩამოყალიბდა ცალკე საველე რაზმი ბესარიონ მაისურაძის ხელმძღვანელობით. ამ რაზმმა, მიუხედავად იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული შემაფერხებელი ფაქტორებისა და ქვეყანაში თანდათანობით შექმნილი ქაოსის ფონზე, მაინც შესძლო გარკვეული დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება აღნიშნულ მხარეში. ამის შესახებ, ბოლო, 1991 წ ჩატარებული დაზვერვითი გათხრითი სამუშაო-ების მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია არქეოლოგიური ცენტრის ჟურნალ „ძიებანი“-ს მე-4 ნომერში [ბ. მაისურაძე, გ. მინდიაშვილი, აეროარქეოლოგია შირაქში, ძიებანი № 4, თბ. 1999, გვ. 29-36]. ამას შემდგომ, მხოლოდ 2007-09 წლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ამ ადგილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაობის დროს (რაც ძირითადად გულისხმობდა ნაქალაქარის აღმოსავლეთით, დაბლობზე, არსებული სამაროვნის შესწავლას), ნაზარლების ნაქალაქარის ციტადელის პირველსა და მეორე ტერასაზე, სავარაუდო კარიბჭეების გამოვლენის მიზნით, პროფ. ვ. ვარაზაშვილმა გაავლო ორი სადაზვერვო თხრილი. თუმცა, შემდგომში შეაჩერა აქ სამუშაოები.

ნაზარლების ნამოსახლარი, განლაგებულია ქანობზე და გეოლოგიური სტურქტურით წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს; რომელიც, თავის დროზე, ხელოვნური თხრილებისა და ზვინულების მეშვეობით გამაგრებულ პუნქტად უქცევია მაშინდელ მოსახლეობას (ტაბ. I, სურ. 1).

დაზვერვითი ზედაპირული დაკვირვებით, ცენტრალურ ნამოსახლარს უნდა სჭეროდა 2.5 -დან 3 ჰექტრამდე ფართობი[5] (იხ. ტაბ. I, სურ. 2).

მზის გულზე გაშლილი დასახლება, პირით, ჩრდილო/დასავლეთიდან სამხრეთ/აღმოსავლეთისკენ არის დამხრობილი და გადაჰყურებს შირაქის ზეგანს ჩრდილო/აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ/აღმოსავლეთ მიმართულებით.

აღმოსავლეთით, დასახლების ძირში, განლაგებულია ყორღანული სამაროვანი, თანმხლები ჩაშვებული სამარხებით (იხ. ტაბ. II, სურ. 1), რომელიც ნაზარლების ნამოსახლარის თანადროულია და დიდი ვარუდით, თავის დროზე, სწორედ მის მოსახლეებს ეკუთვნოდათ.[6]

ნამოსახლარს, სამხრეთ-აღმოსავლეთით დამშრალი ხევი ჩამოუდის, რომელიც თანახმად პალეოგეოლოგიური კვლევებისა [ჯანელიძე ზ. 2007, ელაშვილი მ. 2012], ადრე, სავარაუდოდ, მიწისქვეშა ბინულებით და ნაჟური წყლებით საზრდოობდა. ამის დასტურად დღესაც შეიმ-

---

[5] ნამოსახლარის გარშემო, ერთი კილომეტრის რადიუსში, დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად, დაფიქსირებულია კიდევ ოთხი მცირე დასახლების კვალი, რომლებიც, ვარაუდად ცენტრალური დასახლების სატელიტურ დასახლებებს უნდა წარმოადგენდეს და მასთან ერთად, ერთ ურბანულ კონგლომერატს უნდა შეადგენდეს.

[6] ამაზე ნათლად მეტყველებს ის არქეოლოგიული მასალა, რომელიც ამ სამარხებიდან მომდინარეობს.

ჩნევა ამ ხევის ძირში შედარებით ინტენსიური მწვანე საფარი, დაბალი ძეძვ-ბუჩქნარის სახით.

დასახლების ცენტრალურ ადგილად უნდა ჩაითვალოს მის უკიდურეს დასავლეთით ამაღლებულ ნაწილში, სამიარუსიანი გალავნით გამაგრებული ტერასა.

გალავნის კონსტრუქცია, ტიპიურია ამ მხარის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის თავდაცვითი ნაგებობებისათვის, რითაც იგი გარკვულ მსგავსებას იჩენს წინააზიურ საფორტიფიკაციო ძეგლებთან [ყიფიანი 2007, გვ. 18-24].

აქ, მაქსიმალურადაა გამოყენებული ადგილობრივი ქვა-ღორღიანი ნიადაგი. გალავნის ხერხემალია რიყის ქვით ნაგები, დაქსელილი ტიხრები, რომელიც შევსებულია ნაქალაქარის სამურნეო ნარჩენებშერეული თიხნარით თუ ღორღიანი ნარევით; გალავნის ზედაპირი, მოგებულ-მოტკეპნილია წვრილი ქვა-ღორღით (იხ. ტაბ. II, სურ. 2).

სწორედ ამ ტერასის თხემზე, 2018-19-21 წლებში[7] ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ის სამლოცველო, რომლის შესახებაც ვაპირებთ საუბარს წარმოდგენილ ნაშრომში [ბუხრაშვილი პ. 2019, ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2018] (იხ. ტაბულა III).

უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი სამლოცველო, თავისი არქიტექტურით და ხასიათით, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჯერ კიდევ 1977-78 წწ-ში შესწავლილი შილდის სამლოცველოს (იხ. ტაბულა IV) მსგავსია [იხ. მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ., 1984].

თავის მხრივ, ეს ფაქტი საგანგებო აღნიშვინის ღირსია, რამდენადაც იგი იორ-ალაზნის ორმდინარეთში, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ანუ, ქრისტემდე II-I ათას-

[7] 2020 წ-ის მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე შეუძლებელი შეიქნა გერმანულ მხარესთან ერთად არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება.

წლეულების მიჯნაზე), ერთიანი სამეურნო-კულტურული და სულიერი სამყაროს არსებობის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ნაზარლების ნამოსახლარის ზედა ტერასაზე გამოვლენილი ეს სამლოცველოც, შილდის სამლოცველოს მსგავსად, წრიული ფორმისაა, რომლის შემორჩენილი გალავნის საძირკველის (განი – 1-1.2 მ) გარეთა და შიდა პერანგი, მკვიდრად ნაგებია საგანგებოდ ნარჩევი ფლეთილი ბრტყელი ლოდებით; ხოლო პერანგშიდა შიგთავსი სივრცე, ხურდაქვით, მცირე ზომის რიყის ქვებით არის შევსებული (სურ. 2).

სურ. 2. ნაზარლების სამლოცველოს კედლის წყობა

საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ბრტყელი სიპ-ლოდები, რომლითაც ამოყვანილი ყოფილა ნაზარლების სამლოცველოს გალავნის შიდა და გარე პერანგი, ამ არემარეში, ამ რელიეფზე და გეოლოგიურ ფენებში, სადაც მდებარეობს სამლოცველო და საერთოდ ზოგადად ნაზარლების ნამოსახლარი, არ მოიპოვება.

სამაგიეროდ ამ ფორმის სამშენებლო მასალა უხვად გვხვდება ივრის ხეობაში, დღევანდელი ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე; ანუ, ნაზარლების ნამოსახლარიდან სამხრეთ დასავლეთით, 20-22 კილომეტრის მოშორებით.

გამოდის, რომ სამლოცველოს ამგებთ, საშენი მასალა, საკმაოდ შორიდან მოუზიდავთ; თანაც, წინდაწინ განსაზღვრული ფორმისა, საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული სამშენებლო ტრადიციის შესაბამისად.

აქვე დავძენთ, რომ ზუსტად ამგვარი ტექნიკის და სამშენებლო ტრადიციის საფუძველზეა ნაგები შილდის სამოცველოც.

**მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში, ანუ ქრისტემდე XII-X ს.ს-ში, ამ მხარის მოსახლე სოციუმის ეთნოგრაფიულ ყოფაში, არსებულა არა მხოლოდ სულიერ-კულტურული** (რისი ნათელი მაგალითიცაა შილდისა და ნაზარლების ურთიერთმსგავსი სამლოცველოების არსებობა) **ერთობა, არამედ, მათ ჰქონიათ ერთიანი სამშენებლო ტრადიციაც.**

აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორც ამაზე მეტყველებს ქართველი ერის ყოფის ამსახველი საველე ეთნოგრაფიული მასალები, სამლოცველოს, სათემო ღვთაების თაყვანცემის წმინდა ადგილის აგებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სოციუმის მიერ გაწეულ-დახარჯულ კოლექტიურ შრომას;[8] რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო კრავდა და ადუღაბებდა საერთო სისხლისმიერი შეგნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამ სოციალურ ერთობას.

ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ ტრა-დიციულ-ადათობრივი დღესასწაულების მსვლელობისას, ამგვარი ხასიათის შრომის გამწევთა მიმართ პატივისცემა და მოწიწება საგანგებოდ აღინიშნება კიდევაც

---

[8] ეთნოგრაფიულ მონაცემებში მრავლად ვხვდებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ზიდეს შორეული ადგილებიდან, კონკრეტული თემის წევრებმა, საშენი მასალა ამა თუ იმ სალოცავის ასაგებად; ხელიდან-ხელში ურთიერთგადაცემით თუ გამწევ-საზიდრებით.

განსაკუთრებული სადღეგრძელოს – „საყეინო“-ს სახით; როდესაც განსაკუთრებულად, ცალკე სადღეგრძელოდ ისმება „პიროფლიანთა“ მოსაგონარ-შესანდობარი. პირებისა, ვინც ერთგულად ემსახურა თემ-სოფელს და „პირ-ოფლი იდინა“, იღვწოდა მისთვის – „სიპ-ლოდნი აქ მოზიდნა, ქვა-ქვაზე დადვა და ააგო ეს ხატი (სამ-ლოცველო)“.[9]

ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებად გვეჩვენება ის, რომ სწორედ ამდაგვარი, სახისმეტყველებითი შრომითი კულტურა არსებულიყო ნაზარლების სამლოცველოს ამგებთა სამეურნეო-კულტურულ ყოფაშიც; ალბათ, მაშინაც ასე, საგანგებოდ აღნიშნავდნენ იმდროინდელი სამლოცველოს ამგებ „ხატისშვილთა“ გაწული ღვაწლ-საც; იმ კოლექტიურ შრომას, რომელიც მათ გასწიეს ასე შორეული მანძილიდან სამლოცველოს ასაგებად სჭირო დიდძალი მასალის მოსაზიდად.

დავუბრუნდეთ კვლავ სამლოცველოს არქიტექტუ-რას – გალავნის კედლის სიმაღლე აქაც (შილდის სამ-ლოცველოს მსგავსად), სავარაუდოდ, დაახლოებით 1.5 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო, რაზეც, ჩვენის აზრით, მიგვანიშნებს ის, რომ სამლოცველოს ინტერიერში, კედლის ძირიდან, 2-2.5 მ-ის მანძილზე, წრიულ ზოლად, მრავლად არის მიმოფანტული ხელსაფქვავები; რომლე-ბიც თავის დროზე კედლის თავზე, მის გასწვრივ უნდა ყოფილიყო დალაგებული.[10]

აქვე გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორიც – როგორც ამას ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურე-ბული მასალები ნათელყოფენ, ტრადიციულ საკულტო ძეგლებზე, სამლოცველოს შიდა, გალავანსშიდა სივრცე, როგორც წესი, ხატისმსახურთა და მოწესეთა საურთი-ერთობო სივრცეა.

---

[9] ტექსტი საკუთარი საველე არქივიდან.

[10] როგორც ეს ხშირად გვხვდება ხოლმე ეთნოგრაფიულ ყოფაში აღმ. საქართველოს ტრადიციულ საკულტო ძეგლებზეც.

ხატის მოწესე-მსახურნი, სწორედ ამ – შიდა და გარე სივრცეების ზღვარზე, გალავნის თავზე, ამყარებენ ხატში მომსვლელ მლოცველთან ურთიერთობას; გალავანი, ერთგვარი გამყოფია წმინდა, საწესო სივრცესა და გარეშე სივრცეს შორის. გალავნის ბრტყლადმოგებულ თავზე იღებენ ხატისმსახურნი მლოცველთა მოტანილ ძღვენს – სანთელ-საკადრისებს, ქადა-პურს თუ სხვა სახის შესაწირს. ესაუბრებიან მლოცველთ და აძლევენ მათ შესაბამის რჩევა-დარიგებებს (ტაბ. V).

ნაზარლების სამოცველოს ინტერიერში, ნაყარი კედლის ქვების მიმართულებიდან გამომდინარე, აშკარად შეიმჩნევა, რომ სამლოცველოს კედლები გარედან (სავარაუდოდ, უფრო მეტად დასავლეთ მხრიდან) ფიზიკური ზემოქმედების შედეგად – მოწოლის შედეგად არის ინტერიერში გადმოქცეული.

სავარაუდოდ, კედელს, შიდა მხრიდან (როგორც შილდის სამლოცველოს [მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ., 1978, 11]) თახჩები უნდა ჰქონოდა დატანებული, სადაც შეწირული ნივთები ინახებოდა. ამაზე მიგვითითებს მასალის, განსაკუთრებით კი სამლოცველოს „განძის“ აღმოჩენა იატაკის დონეზე ოდნავ მაღლა, ინტერიერში, დასავლეთი კედლის ძირთან; რომელიც აქ, ამ კედლის დაქცევის შემდეგ უნდა იყოს ასე შეჯგუფულად ჩაწოლილ-ჩამარხული ჩამონგრეული ქვების ქვეშ (ტაბ. VI, სურ. 1-2).

ნაზარლების სამლოცველოს, შემოსასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან აქვს[11] და ისევე როგორც შილდაზე, აქაც სავარაუდოდ ხის კონსტრუქციით უნდა ყოფილიყო დახურული.

გამოვლენილი კონსტრუქციის ნაშთები გვავარაუდებინებს, რომ თავის დროს, შესაძლებელია, ეს

---

[11] სამლოცველოს ეს მონაკვეთი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, სამხედრო გეოდეზისტ-კარტოგრაფებს მოუშანდაკებიათ და მასზე, როგორც ამ მიდამოში ყველაზე მაღალ ადგილზე, სიმაღლეპუნქტი მოუწყვით ბეტონის საძირკვლით.

გახლდათ ერთგვარი „სასანთლე კოშკიც“ (როგორც ეს დადასტურებულია აღმ. საქართველოს მთიანეთში შესწავლილ ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებზე [ბარდაველიძე ვ., 1973-1982-1985] (იხ. ტაბ. VII) კი, რომელიც იდგა სამლოცველოს ღრმადნალისებრი, აღ-მოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული გალავნის შეასასვლელში, გალავნის კედლებს შორის და ქმნიდა ორ სივრცეს – სამლოცველოს ტერიტორიაზე შესასვლელს და გამოსასვლელს (იხ. ჩანართი სქემა). მისი გაწმენდის დროს, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ქვებს შო-რის, რამდენიმე ადგილზე დაფიქსირდა ხის კვალი; რაც ნაგებობის კონსტრუქციაში ძელების გამოყენებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

თუმც, კარიბჭის ზუსტი კონსტრუქციის დადგენა, სამწუხაროდ, ამჟამად ძალზე რთულია, იმისა გამო, რომ, თანამედროვე ეპოქაში მასზე, კარტოგრაფებს გეოდეზი-ური პუნქტი აუგიათ; რამაც თითქმის ძირისძირობამდე დააზიანა არქეოლოგიური ძეგლის ეს მონაკვეთი.

სავარაუდოდ, კარიბჭე ნაგებობას, აღმოსავლეთით, ამაღლებული თარო-ბაქანი უნდა ჰქონოდა (სურ. 3), შესაბამისი სარიტუალო საქმიანობისთვის;[12] რაზეც მის ჩრდილო კუთხეში, სამლოცველოს გალავნის კედელ-თან, იატაკის დონეზე ჭინჭილის და აზარფეშის (სურ. 4) მსგავსი ხელიანი სასმისის აღმოჩენა გვაფიქრებინებს.

როგორც ცნობილია, აღმ. საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფიდან, „ხატისკარს“ ანუ კარიბჭის ამგვარ ბაქნებზე აწყობდნენ საგანგებო სარიტუალო სასმისებს (მაგ. „პიროფლიანთა“ სახელშე-სადებელ სასმისებს), შესაწირ ქადა-პურებს, საკადრი-სებს თუ სხვა სახის შესაწირის;

---

[12] მაგ. სასმისების დასადგმელად ან ქადა-პურის, ან სხვა შეს-აწირის დასაწყობად; როგორც ეს აღმ. საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ეთნოგრაფიულ ყოფაშია დადასტურებული.

სურ. 3. სამლოცველოს კარიბჭე

სურ. 4. კარიბჭესთან აღმოჩენილი ჭურჭელი

ნაზარლების სამლოცველოს ცენტრში განლაგებული უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველი (ტაბ. VIII), რომლის გაწმენდისას, ფილებქვეშ, გამოიკვეთა მცირე, რიყის ქვებით ნაშენი დაბალი შემოზღუდული სივრცის ფრაგმენტი,[13] რომლის კუთხეშიც გამოვლინდა საქონლის კიდურის (სავარაუდოდ მარჯვენა[14]) ძვალი კვირისთავით. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 მცირე სადა ბეჭედი, მცირე ხვია, სარდიონის მძივი და მძივთაშორისი, რომბის ფორმის ბრინჯაოს ტიხარი; პატარა საკინძთან ერთად.

სავარაუდოდ, ამ სათავსოს თავზე, ზემოდან დაფიქსირებული ფილებით გამართული უნდა ყოფილიყო სწორედ ეს „საკურთხეველი“, რომლის გამურული ფილებიც, ამჟამად, ცერადაა წასული სიღრემში და ნგრევის კვალს ატარებს.

სწორედ აქ, ზედა ფილაზე, 2018-19 წლებში წარმოებული სამუშაოების დროს, დავაფიქსირეთ ირმის ქანდაკება, სარდიონის მძივის თვლებთან ერთად; ხოლო მისგან ოდნავ მოშორებით – საბეჭდავი (ტაბ. VIII და ჩანართი სქემა).

მიუხედავად იმისა, რომ ნაზარლების სამლოცველოს არქეოლოგიური შესწავლა ჯერ არ დასრულებულა, თავად ძეგლის და მის მიმდებარე ანალოგიური პერიოდის დასახლებათა ტოპოგრაფია (ასევე, ამ დასახლებებიდან მომდინარე ნივთიერი მასალა), გარკვეული ხასიათის წინასწარული დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა. მით უმეტეს, რომ ქართველ (და უცხოელ) მკვლევარებს, ბევრჯერ გამოუთქვამთ დასკვნები ამ მხარეში

---

[13] სავსებით შესაძლებელია, იგი ყოფილიყო დღევანდლამდე ეთნოგრაფიულ ყოფაში (მაგ. ლაშარის ხატი ფშავში) დადასტურებული ე.წ. „სისხლის საქუჩარი“, რომლის პირზეც იკვლოდა სამსხვერპლო ცხოველი და მასში ჩაედინებოდა ზვარაკის სისხლი.

[14] ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია, რომ ხატში, სამსხვერპლო შეწირვის შემდეგ, ხატში რჩება ზვარაკის მარჯვენა ბეჭ-ბარკალი.

მცხოვრები უძველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და სულიერი კულტურის თაობაზე [ფიცხელაური, კ.ნ, 1973; საქართველოს ისტორტიის ნარკვევები ტ.1; მამულია, გ. 1976; Периханян, А. Г. 1959; Наджафов, Ш.Н. 2018].

ბევრ მათგანს არგუმენტირებულად აღუნიშნავს და ეს უკვე გაზიარებულიცაა, რომ დღევანდელი ქართველი ერი, მცირე აზიის უდიდესი კულტურის მქონე ძველი მკვიდრი ხალხების გენეტიკური და კულტურული მემკვიდრეა.

ამდენად, სრულიად მოსალოდნელიცაა, რომ ეს მემკვიდრეობითობა, მატერიალური კულტურის არტეფაქტებთან ერთად, სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობითობაშიც ასახულიყო [მელიქიშვილი გ., 1999, გვ. 664].

აღიარებულია, რომ მცირე აზიის უძველესი პერიოდების ხალხთა კულტურები, თავისი ხასიათით, საკმაოდ მოძრავი და ერთიმეორეში გარდამავალი თვისობრიობანი გახლდათ; ასევე, მოძრავი იყო ამ რეგიონის სახელმწიფოებიც და მათი ეთნიკური შემადგენლობანიც. ასეთი „მოძრაობის“ გარეშე ვერ დარჩებოდა ვერც მათი მეზობელი კავკასიაც.

გამომდინარე აქედან, სწორხაზოვნად ერთგვაროვანი ვერ დარჩებოდა ვერც ძველი ქართული სახელმწიფოებრივი კულტურა და ვერც მისი ეთნიკური ბუნებაც. საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარ პირველ „დარტყმებს“, გარეშემო სამყაროდან, სწორედაც რომ ამ სოციალურ ორგანიზაციათა სულიერი კულტურა განიცდიდა.

ასეთ მოვლენებს შეიძლება ადგილი ჰქონოდა ეთნიკურ-ტერიტორიული ცვლილებების გარეშეც. ამიტომ, გარედან შემოსული კულტურული ტალღა-გავლენები, ადრექართველურ ერთობებში, გარდაუვალ მომენტებად უნდა მივიჩნიოთ. ქართველურ ტომებს მცირე აზიის, შუამდინარეთის თუ ახლო აღმოსავლეთის ექსპანსიური

სახელმწიფოების მოქმედების გარეთ ვერ დავტოვებთ [მელიქიშვილი გ., 1999, 447-449].

საერთოდ, მიჩნეულია, რომ ერთიანი მითო-რელიგიური ველით ნასაზრდოები სულიერ-კულტურული ერთობებიც კი, ტრანსნაციონალური ზეგავლენებით ხასიათდება.

ამდენად, ქართველური ყოფაც, მისი სულიერ-კულტურული ცხოვრებაც (რაც თავის მხრივ მდგრადი კონსერვატიზმით გამოირჩევა), ამგვარი ზეგავლენებისგან დაზღვეული ვერ იქნებოდა. ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა მრავალმხრივი ურთიერთგავლენის, ზემოქმედებისა და კულტურულ მონაპოვართა სწრაფი გავრცელების ვითარებაში. მეტად მოძრავი გახლდათ, უძველეს ხანებში, თუნდაც კულტურულ-ეთნიკური საზღვრებიც [მელიქიშვილი, გ., 1976, 145-171]. ამ გარემოების უარყოფა და ყველაფრის ადგილობრივი განვითარებით ახსნა, ისტორიული განვითარების პერსპექტივის დამახინჯების სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ქართველი ერის ისტორიის ადრეული ეტაპების შესწავლასაც. იგი არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი კულტურული ელემენტებით ყოფილიყო მხოლოდ ნასაზრდოები.

რაღა თქმა უნდა, ხდებოდა პირიქითაც, როდესაც – ქართველთა სულიერ-კულტურული დინებები ინტენსიურად და ღრმად იჭრებოდა მეზობელი ხალხების და ქვეყნების ყოფასა და კულტურაშიც.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩვენი აზრით, რამდენადმე უკვე შესაძლებელია ერთგვარი წინასწარული ვარაუდების გამოთქმა ნაზარლების სამლოცველოს საკულტო ხასიათისა და მის გარეშემო შემოკრებილი სოციუმის თაობაზეც.

ამის საშუალებას, ვგონებ, უკვე იძლევა, პირველყოვლისა, ის „ხატის განძი“ (და ასევე სხვა დანარჩენი ცალკეული არტეფაქტებიც), რომელიც 2018 წლის 11 სექტემბერს აქ, ნაზარლების ნაქალაქარზე აღმოჩენილ სამლოცველოზე გამოვლინდა.

სანამ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილი „განძის“ თაობაზე ვისაუბრებდეთ, ვფიქრობ, რომ მანამდე, უპრიანია, ორიოდ სიტყვით შევეხოთ თავად არსსა და სახისმეტყველებით მხარეს „ხატის განძისას“; იმ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, რომლებიც მრავლადაა მოძიებულ-მოპოვებული ქართველ და უცხოელ ეთნოგრაფ-მკვლევართა მიერ აღმ. საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების აღწერა-შესწავლისას.

ვეცადოთ, შესაძლებლობის ფარგლებში გავერკვეთ ამ სათემო საფასის – „ხატის განძი“-ს მნიშვნელობზე ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

ქართველ მეცნიერ ეთნოგრაფთა და უშუალოდ ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდანაც ნათლად იკვეთება „ხატის განძის“ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფუნქცია თემის საწესო-საკულტო ცხოვრებაში.

ხატის განძი, რომელსაც ცალკე მაგანძური იცავს, ერთ-ერთი თაურმდგომია, ნივთიერი განსახიერებაა, თუნდაც ფშავ-ხევსურეთის სათემო ხატებისა.[15] მაგალითად, თუ რომელიმე თემმა გაძი დაჰკარგა (ან საკუთარი უნიათობით, ან მტერმა წარსტაცა იგი), მას დანარჩენ თემებს შორის ერთგავარად დამცრობილად, არათანაბარ უფლებრივ ერთობადაც კი განიხილავენ.

ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ხევსურეთის ერთ-ერთმა თემმა, გორშეღმის ხეობიდან,

---

[15] განსხვავებით ფშავის ხატებისაგან, სადაც, ხატის სახეს, განძზე მეტად, ხატის დროშა – საკადრისებ-აბმული შტანდარტი განასახიერებს. ეს მეტად საინტერესო მოვლენა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ამ მხარეთა განსხვავებულ ფუნქციებს ქართული სახელმწიფოს სამხედრო-თავდაცვით სტუქტურაში; აღნიშნული საკითხი კი ცალკე კვლევის საკითხად გვესახება.

რომელმაც დაჰკარგა განძი, შესაბამისად დაჰკარგა აგრეთვე გადამწყვეტი ხმის უფლება გუდანის წმ. გიორგის (რომელიც ერთობილ ხევსურთა მთავარი სალოცავი და სასჯულ-საბჭეო ადგილია), ბერბაადურის ხატში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უძველეს ხანაში, ადამიანს თემი განაგებდა; ხოლო, ადამიანის „მე“, თემის „მე“-თი იყო განპირობებული.

თემის მორალს კი თავისი წყარო აქვს – საკულტო ობიექტი (ხატი, ჯვარი). სწორედ აქ, საკულტო ობიექტში იქმნებოდა თემისთვის საჭირო ახალ-ახალი წესები, რომლის სიძლიერეცა და „პროგრესულობაც“ ხატისა და თემის საჭიროებით ისაზღვრებოდა.

ამიტომ, დღევანდელი გადასახედიდანაც კი, ვგონებ, სავსებით გასაგებია ის გარემოება, რომ თემის წევრთა ცნობიერებაში, „პროგრესული“ და მისაღები იქნებოდა ის წესი და ცხოვრებისეული ნორმა, რომელიც დაიცავდა თემისა და ხატის ინტერესებს და უარყოფილი იქნებოდა ის, რაც თემის ვიწრო კუთხურ, ან საგვარეულო ჩარჩოებს გასცილდებოდა.

თუ ამდაგვარ პრიზმაში განვჭვრეტთ საზოგადოების ისტორიის ადრეულ ეტაპებზე მცხოვრებ თემების ყოფასა და ცხოვრებას, ვფიქრობთ, რომ სხვა თვალით შევხედავთ და გავისიგრძეგანებთ ბევრს რასმე მაშინდელს წესსა თუ ჩვეულებას; რომელთაგანაც ბევრს, დღესაც კი, ხშირად ვხვდებით, გადმონაშთის სახით, ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით უხვად გაჯერებელ ქართველთა ყოფასა და ცხოვრებაში.

ამ მხრივ, ვფიქრობთ, რომ საინტერესოდ გამოსჭვივის მაგ. თუნდაც მეკობრეობა-ქურდობის ჩვეულებისადმი არ მხოლოდ ლოიალური დამოკიდებულება, არამედ, ერთგვარი სიმპათიაც კი დღემდე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ წესსა თუ სჯულში.

ამგვარად თუ ვიმსჯელებთ საკვლევი საკითხის გარშემო, მივხვდებით თუ რატომ შემორჩა მაგ. ქურდობა-მეკობრეობის კულტი ხევებში ჩაკარგულ თემებსა და

პოლიტიკურად დაქუცმაცებულ კავკასიაში [აბაშიძე ბ., 1984, 131].

ამას უნდა დაემატოს მითოლოგიისა და რელიგიის უშრეტი წყარო – მაგია, რომელიც თემ-გვარ-ოჯახში, თავდაცვა-გადარჩენისა თუ გაძლიერების უკანასკნელ და აუცილებელ დასაყრდენ საშუალებად იყო აღიარებული.

ქურდობა-მეკობრეობის ჩვევაც, როგორც უძველესი საკულტო ინსტიტუტის ერთ-ერთი წესი, ხატის წესთა მაგიურ დონემდე დაყვანაშიც ვლინდება [აბაშიძე ბ., 1984, 131].

ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანთ თუნდაც ფშაურ ზეპირსიტყიერებაში შემონახილ გმირ მეკობრეთა სახლები – გარა თურმანაული, ჩონთა და ა. შ.

საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი გმირ-მეკობრეთა სახელებით გაჯერებულია მთელი კავკასიის (და არა მხოლოდ კავკასიის) მოსახლეობის ფოლკლორი, რომელშიც თვალნათლივაა ასახული იმ პერიოდის საზოგადოებების სულიერი და სჯულ-სამართლებრივი კულტურა [იხ. ქართული ხალხური პოეზია, 12 ტომად, ნაკვ. III-IV].

ხატი, ყმისგან ითხოვს შესაწირს უნარის მიხედვით. მაგ. მქსოველისგან – ნაქსოვს, მწყემსისგან – ცხვარს, მონადირისგან – ნანადირევს; ბევრი „კარგი ყმა“, ხატს, საფასურად უცხო ოჯახიდან, ან თემიდან „მოტანილ“ საფასურს (შესაძლოა იგი მეკობრეობის, ან ძარცვა-ყაჩაღობის გზითაც კი ყოფილიყო ნაშოვნი) სწირავდა.

ხალხის, ერის სულიერი დოვლათი, სულიერი ძალა ხატში იგულისხმებოდა; სულიერი ძალის მატერიალიზებულ სახედ, რასაკვირველია წარმოდგენილი ჰქონდათ ის ძვირფასი ნივთები, რომელშიც ხალხი თავის შრომას სდებდა. სწორედ ასე დგებოდა და ივსებოდა ხატის „განძიც“.

როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ხატი (ჯვარი) არ უშლიდა მეთემე მეომართ ხმლის ტიალს. ძველი ხატობის მსვლელობის დროს, ჯვარი, თავისებუ-

რად ათვალიერებდა თავის კაი ყმებს და ამდენად, ჩხუბს, კინკლაობას, ხატის კარზე ხმლის ტრიალ-ფარიკაობას, სათემო თუ სასოფლო ხატი არა თუ უშლიდა თავის ყმებს, არამედ ხელსაც უწყობდა, მოითხოვდა მათგან[16] ყოველივე ამას. ამით, სალოცავი ხელს უწყობდა თავის კარგყმებს, წვრთნიდა, თავის გამოჩენის ნებას აძლევდა მათ და ბოლოს, სხვა თემების თუ მეზობელი ხალხების „ხატებშიც“ აგზავნიდა მათ თავის სადიდებლად.

ხატის კაი ყმები, თავიანთი ხატის პრიორიტეტს არათუ საკუთარი და მეზობელი თემების ადგილის დედა ხატის წინაშე იცავდნენ, არამედ მეტიც, მათ დასალაშქრადაც მიდიოდნენ; ხატი მოუწოდებს ყმათ შეჯავშნისკენ და თავისი სიძლიერის დასადასტურებლად სალაშქროდ აგზავნის მათ. ამას ადასტურებს აღმ. საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილი უამრავი გადმოცემა თუ ლეგენდა [აბაშიძე ბ., 1984, 139].

ქურდობა-ტაცების ეკონომიკურ მხარეს, თავისი მაგიური მხარეც ახლდა. მოტაცებულ-ნაალაფარი ნივთის შეწირვა საკუთარი ჯვარ-ხატისა და სალოცავისთვის[17] მტრისგან გარკვეული ენერგიის (სულიერი ძალების) წართმევასა და თავისი ხატ-სალოცავისთვის მიცემასაც ნიშნავდა; მტერი გარკვულ შრომას ეწევა, გარკვეულ სულიერ ძალებს ხარჯავს საქონლის მოშენებისა თუ ნივთის შესაქმნელად; კაი ყმა კი მტერს სწორედ ამგვარ დოვლათს ართმევს და მტრის ენერგიას სწირავს საკუთარ ხატს; მეზობელი ხატის ყმების მიერ დახარჯული „სულიერი ძალებით“ ძლიერდება ხატის კარი. ამიტომაც

---

[16] მაგ. იახსრის „ავის გორი“ საკინკლაო და საშუღარ ადგილადაც მოიაზრებოდა, რომელიც შემდგომში საცეკვაო ადგილად იქცა. ასევე – ამ კონტექსტშია გასააზრებელი ჭიდაობა-ასპარეზის შემდეგ გამარჯვებულთა ცეკვის რიტუალიც.

[17] სახელმწიფოებრივ რანგში, ამის ერთგვარ, აღმატებულ ხარისხად უნდა მოვიაზროთ თუნდაც, მაგ. განჯის კარის შეწირვა გელათის მონასტრისადმი.

ამაყობენ ხატის (ჯვრის) ყმები თავისი საქციელით და არ ეთაკილებათ ქურდობა-დატაცება. ხატი (ჯვარი) არათუ ხელს უწყობს, არამედ მოითხოვს ყმათაგან ქურდობა-მეკობრეობას; ხატის ყმები ხატისკარს ხოცავენ (სწირავენ) მოტაცებულ თუ მოპარულ საქონელს. მაგ. ერთ-ერთი კაი ყმა სიამოვნებით აცხადებს:

„გარა ვარ თურმანაული, ბევრგან მიქნია ზიანი;
ლაშარის გორზე მიხოცავს, ქისტის ხარები რქიანი."
[ქართული ხალხური პოეზია, 12 ტომად, ნაკვ. III-IV, 40]

ხატის ყმათა სალაშქროდ სიარული, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხატის (ჯვარის) სადიდებლად ხდებოდა; დაპყრობილ სოფლებს, საკუთარი ხატის ყმებად თვლიდნენ, ხარკს აწერდნენ, იქიდან წამოღებულ ნივთებს კი ხატს სწირავდნენ.

დღესაც კი, თუ აღმ. საქართველოს მთიანეთში, ხატში დაცული რომელიმე ნივთით დაინტერესდებით, ხატის მოწესე-მსახურნი ხშირად გეტყვიან – „ქისტეთიდან არის მოტანილი, ძალითაა წართმეული". ასეთ ნივთებში ხშირად გვხვდება ლამაზყელიანი ვერცხლის და სპილენძის სურები, თასები თუ ლუდის სახარში სპილენძის ქვაბები...

ამგვარი ნაძარცვით სავსე იყო ფშავ-ხევსურეთის ხატები. ასეთი ნივთის ხატში დაუნჯებით, შემწირველ-მომპოვებელნი, მტერს სულიერ ძალებს ართმევნდნენ და დარბეულ მტრის ხატებს საკუთარი სალოცავის ყმებად ხდიდნენ.

მიჩნეულია, რომ ყოველი უძველესი წესი იმიტომ არის გამძლე, რომ იგი, ერთგვარად, მაგიას ეფუძნებოდა. მაგია კი, თუ ჰეგელს მოვიშველიებთ, მაგიის მომქმედს ნებას აძლევს თვით იყოს მქმნელი ამა თუ იმ საქმისა და არა ღმერთი, როგორც ეს მონოლითურ რელიგებში გვაქვს; სადაც შემომქმედი, მორწმუნის აზრით მოიაზრება ზეცაში, რომელსაც იგი შესთხოვს შემწეობას. მაგიით კი მისი მქმნელი თავად მოქმედებს და თვით ივალდებულებს თავს [ Гегель Г., გვ. 139].

მაგიურმა ძირებმა ყოველდღიურ ყოფაში მძლავრად დაიმკვიდრა ადგილი. თემს, ან მოსახლეს თუ რაიმე ნივთი დაეკარგებოდა, ხალხი იტყოდა – „ამ ნივთს გაჰყვა ოჯახის ან თემის ბარაქაო“. მეორეს მხრივ, ამ მოვლენამ ხალხი გამოფხიზლდა, შეეჩვია სიფრთხილეს. გამოიწრთო, მოემზადა მოულოდნელი თავდაცვისათვის [აბაშიძე ბ., 1984, 139].

დავუბრუნდეთ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ განძს, რომელიც, თავის მხრივ წარმოადგენს ბრინჯაოს ნივთების (მის შემადგენობაში აღმოჩნდა აგრეთვე ერთი თიხის ტოლჩისებური სასმისი და მტკნარი წყლის მოლუსკის სადაფის ნიჟარაც) შეჯგუფულ ერთობლიობას (ტაბ., IX), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა:

1. ბრინჯაოს მახვილის იმიტაცია – 457 ცალი (!);[18]
2. შედგენილტარიანი ტიპის ბრინჯაოს მახვილი (1 ც.) (ტაბ. $X_1$);
3. შედგენილტარიანი სატევარი (1 ც.);
4. ორპირი აღმოსავლურკავკასიური ცული (1 ც.) (ტაბ. $X_2$);
5. მინიატურული აღმოსავლურკავკასიური ცული (1 ც.);
6. ბრინჯაოს ნამგალი (1 ც.);
7. პირფართე დანა – „სამართებელი“ (შესაძლოა – შუბის სათიხარ-ბურნუკი?) (2 ც.);
8. შუბისპირები (14 ც.);
9. ბრინჯაოს „გულისფარი?“ (1 ც.)
10. დისკოსებრი ბრინჯაოს სამშვენისი (2 ც.).

---

[18] ბრინჯაოს 458-ე მახვილის ძალზედ ფრაგმენტირებული იმიტაცია აღმოჩნდა „განძის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 მეტრის მოშორებით მდებარე კონცენტრირებული კერამიკის ალაგების შემდეგ.

ჩამოთვლი ნივთებიდან გვინდა განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება იარაღის ორ სახეობაზე და ვეცადოთ განვსაზღვროთ მათი ფუნქციონალური დატვირთვა სამლოცველოს გარშემო შემოკრებილი სოციუმის ყოფაში.

**პირველი** ეს გახლავთ მახვილის იმიტაციები და **მეორე** – სამართებლისმაგვარი ბრინჯაოს დანები (შესაძლოა შუბის ბოლო ბურნუკ-სათიხრები?).

დავიწყოთ ბრინჯაოს მახვილის იმიტაციებით (სურ. 5), რომელიც აღნიშნულ სამლოცველოზე უპრეცენდენტო რაოდენობით იქნა დაფიქსირებული – 458 ცალი!

სურ. 5

ბრინჯაოს მახვილის იმიტაციები, იორ-ალაზნის ორმდინარეთში, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე (სამლოცველო მელი-ღელე II [ფიცხელაური, კ.ნ, 1973, 22], ფევრების და გადრეკილის სამაროვნები, დიდნაურის ყორღანის ჩაშვებულ სამარხში...) ბევრგანაა დაფიქსირებული.

9 ცალი ამგვარი იმიტაცია აღმოჩენილია შილდის სამლოცველოზეც [მაისურაძე, ბ., ფანცხავა, ლ., 1984, 11].

მაშასადამე, ამ პერიოდში, ეს იმიტაციები უპირატესად აღმოჩენილია ორი ხასიათის ძეგლებზე –

ა) სამლოცველოებზე (უპირატესად) და ბ) სამარხებში (ცალობით); რაც, ჩვენის აზრით, გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდევაც მათ საკრალურ ხასიათს იმ პერიოდის მოსახლეობის სულიერ-კულტურულ ყოფაში; სწორედ ამის ინტერპრეტაციასაც შევეცდებით აღმ. საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მასალების მიხედვით.

ცნობილია, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ სამლოცველოებზე, გამომდინრე მათი ხასიათიდან (განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ხატ-სალოცავებს, რომლებიც ტრადიციულად მიიჩნეოდა მამაკაცთა მფარველ თემობრივ სალოცავებად[19] და სადაც ხდებოდა ვაჟთა, როგორც თემის მომავალი სრულუფ-ლებიანი წევრების „ხატში გაყვანა“), დაფიქსირებულია საყოფაცხოვრებო ნივთებისა და საბრძოლო იარაღის იმიტაციების შეწირვის ფაქტები – მაგ. იმიტირებულ „შუბებს“ (რომელსაც მოსახლეობა დროშის ტარებს უწოდებს) სწირავენ წმ. გიორგის სახელობაზე აგებულ სალოცავებს; როგორც აღმოსავლეთ საქართველოში – მაგ. წიფორის წმინდა გიორგის ხატი [მაკალათია, ს., 1930, 150-151], ასევე დასავლეთ საქართველოში – მაგ. ჰადიშის ქუდოსანი წმინდა გიორგის ხატი [ბუხრაშვილი, პ., 2002, 7-19].

ამ ხასიათის სალოცავებს სწირავდნენ მახვეწარნი ისრის პირებსა თუ სხვადასხვა სახის იარაღსაც. მაგ. თავრარის (ზემო სვანეთი) წმ. გიორგის სალოცავის (რომელიც უპირატესად მამაკაცთა მფარველად ითვლება) აღწერისას, პირადად გვაქვს დაფიქსირებული ამგვარი ფაქტი – აქ, სალოცავისადმი შეწირულია ისრის და შუბის პირები მოყოლებული განვითარებული შუა საუკუნეებიდან, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით; რომელსაც მოგვიანო პერიოდში ენაცვლება კაჟიანი თოფის ფინ-

[19] ძირითადად ასეთები გახლავთ წმ. გიორგის სახელობაზე აგებული სალოცავები.

დიხები, ხოლო შემდგომ ხანებში ვინტოვკის ტყვიები და თანამედროვე ყოფაში – AK-ს ტყვიებიც კი.

ამგვარად, ამ სალოცავში დაფიქსირებულია საბრძოლო ხასიათის ნივთების შეწირვის ფაქტის თითქმის 800 წლოვანი დინამიკა.

ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია ასევე, რომ ხატებშივე ინახებოდა იარაღიც, რომლითაც ხატის სახელით იბრძოდნენ თემის საუკეთესო მეომრები; მტრის მოსაგერიებლ, თუ სხვა ხასიათის ბრძოლებში.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ამის დამადასტურებელია თუნდაც ეს ლექსიც:

„ბეთლემის კარზე კიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.“
[ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, 83]

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტებში, დასახელებეულია სხვადასხვა სალოცავთა სახელები, გამომდინარე იქიდან, თუ სადაა ესა თუ ის ვარიანტი ჩაწერილი – ხევსურეთში („მიქეელის (**სალოცავის დასახელება – პ.ბ.**) კარს შეხკიდეთ...“), ფშავში („ლაშარის ჯვარსა ჰკიდია...“) თუ კახეთში („ალაზნის პირსა ჰკიდია...“) [ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, 284-285]. ანუ, მთქმელების მიერ დაშვებულია, რომ იარაღი ინახებოდა სხვა ხატ-სალოცავებშიც და გამომდინარე მათი მდებარეობიდან გვაქვს სწორედ ეს მრავალფეროვანი „გეოგრაფიაც“.

ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია ისიც, რომ თუ ხატის იარაღით მებრძოლი მეომარი დაიღუპებოდა, ეს იარაღი გადაეცემოდა თემში („ხატში“) გამორჩეულ სხვა მეომარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნაზარლების სამლოცველოში დაუნჯებული „ხატის“ განძის შემადგენლობაში დაფიქსირებულ ბრინჯაოს მახვილების

იმიტაციების უპრეცენდენტო რაოდენობას და სხვა საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულების ნივთების ხასიათს გავითვალისწინებით, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია გარკვეული პარალელების გავლება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ელემენტებსა და არქეოლოგიურ არტეფაქტებს შორის:

**ბრინჯაოს მახვილის იმიტაციები** – სავარაუდოა, რომ სამლოცველოზე მოსული მეთემე მახვეწარი მეომრები, ანუ იგივე „ხატის ყმები“, ისევე როგორც ეს ეთნოგრაფიულ ყოფაშია დადასტურებული, საკუთარ სახელზე „ხატს“ სწირავდნენ ბრინჯაოს მახვილის იმიტაციებს, რომლებიც თავის მხრივ, ასევე როგორც ბრინჯაოს ერთგვარი „საფასნი“, ქმნიდნენ „ხატის განძსაც“.[20] ხოლო, ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში, ეს „ხატის“ მეომრები იკრძალებოდენ ხატში შეწირული ამ იმიტაციებით; მათი ნამდვი-ლი საბრძოლო იარაღი კი (რომელიც ძვირფასი იყო და „მიწის შესაჭმელად“ არ ემეტებოდათ – გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა[21]) გადაეცემოდა სხვა, ამავე თემის წევრ გამორჩეულ „ხატის შვილებს“.

ასევე სავსებით დასაშვებია ისიც, რომ შესაძლოა ეს საჭურველი (იგივე **მახვილი, სატევარი, საბრძოლო ცული, შუბისპირები**) ეკუთვნოდა „ხატის“ გამორჩეულ და ბრძოლებში „ხატისვე“ სახელით მეომარ წინამძღოლ „ხატიშვილს“, რომლიც ხატის სახელითვე ბრძოლაში გამოდიოდა და წინამძღოლობდა სათემო ლაშქარს; ხოლო მისი სიკვდილის ან სიბერის შემთხვევაში გადაეცემოდა ამავე თემის სხვა, გამორჩეულ ახალგაზრდა „ხატის შვილს“.

---

[20] როგორც ეს დაფიქსირებულია აღმ. საქართველოს ყოფაში დადასტურებულ მთელ რიგ სალოცავებში და საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

[21] როცა იკრძალებოდა განსაკუთრებული პიროვენება; მაგ. დიდნაურის ნაქალაქარის სამაროვანზე მახვილით არის დაკრძალული ტომის ბელადი [იხ. ფიცხელაური კ., 2019, გვ. 56-58].

თავად ეს იარაღი კი ხატში ინახებოდა ისე, როგორც ეს გვაქვს დადასტურებული ქართველურ ეთნოგრაფიულ ყოფასა თუ ფოლკლორში.

სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ასევე, რომ ნაზარლების „ხატის განძში“ შემავალი და „ხატშივე“ დავანებული **ბრინჯაოს მახვილი, სატევარი, ცული**, – ალბათ, იყო ის იარაღი რითაც იკვლოდა სალოცავში მახვეწართა მიერ მოყვანილი ზვარაკი; როგორც ეს დაფიქსირებულია ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ ტრადიციულ-საკულტო ძეგლებზე აღწერილი დღესასწაულების მსვლელობისას.

**ბრინჯაოს ნამგალი** (სურ. 6) – მისით, ალბათ, ხატის ქურუმი თაბაგარის (მკაში მესვეური) ხელით, სხვა ხატის მოწესეებთან („დასტურ-ხელოსნებთან“ – როგორც ეს მაგ. ხევსურულ მასალებში გვხვდება) ერთად, მოიმკებოდა ხატის ხოდაბუნებზე მოყვანილი ხორბლეული, რომელიც ხატშივე იფქვებოდა, იქვე ცხვებოდა და სა-

სურ. 6

განგებო საბეჭდავით (სურ. 7) ისევე იბეჭდებოდა სარიტუალო „სეფისკვერები“, როგორც ეს ეთნოგრაფიულ ყოფაშია დადასტურებული (სურ. 8).

სურ. 7

სურ. 8



ალბათ, ხატშივე, საგანგებო ჭურჭელში დგებოდა და ინახებოდა სარიტუალო სასმელიც, რომელიც აქვე საგანგებო სასმისებით (სურ. 9) შეისმებოდა მახვეწართა მიერ; როგორც ეს დადასტურებულია ქართველთა (და სხვა კავკასიელი ხალხების) ეთნოგრაფიულ ყოფაში.

სურ. 9

ასევე, ალბათ, ხატშივე ტოვებდნენ „ცოდვა გამოსყიდული“ ხატისშვილები ყელსაკიდ „ცოდვის ქვებს“ (იხ. სურათი), რომელის ტარებასაც მათ, ხატის ქურუმნი მიუსჯიდნენ ხოლმე; როგორც ეს დღემდეა შემორჩენილი ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში... (სურ. 10$_{ა-ბ}$).

მართალია, ეს ყოველივე ერთგვარი ინტერპრეტაციაა, თუმცა არც თუ უსაფუძვლო, რაც შემაგრებულია ეთნოგრაფიული მონაცემებით.

საგანგებოდ გვინდა, ასევე, გავამახვილოთ ყურადღება სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ერთი იარაღის ნაირსახობაზე (ტაბ. XII).

სურ. 10 ა) ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული „ცოდვის ქვა“ სვანეთიდან; ბ) „ცოდვის ქვა“ – ნაზარლების სამლოცველო.

ა)

ბ)

აქამდე[22], დაფიქსირებულია აღნიშნული იარაღის სულ ოთხი ცალი; აქედან ორი 2018 წელს სამლოცველოს დასავლეთ კედელთან გამოვლენილ ბრინჯაოს იარაღთა ერთგვარი „ხატის განძის“ შემადგენლობაში, ხოლო ორი, 2019 წელს გაწმენდილი სამლოცველოს ინტერიერის შიდა სივრცეში, სხვადასხვა ადგილზე, ასევე იატაკის დონეზე.

იარაღის ამ ნაირსახეობამ, თავისი ორიგინალური ფორმიდან გამომდინარე, თავიდანვე მიიქცია ექსპედიციის წევრთა ყურადღება; გასარკვევია მისი დანიშნულება.

აღმოჩენილი იარაღის ცალების ზომები მერყეობს: სიგრძე 12-22, ხოლო განი – 7-10 სმ-ის ფარგლებში; არის ბრტყელი ფორმის, აქვს ერთნაჩვრეტიანი მოკლე ყუნწი; სავარაუდოდ, მოკლე ტარის დასაგებად. ორლესულია და აქვს განივად ამოღებული ფართე პირი, კიდეებში წაწვეტებული ბოლოებით.

[22] სამლოცველოს გათხრითი შესწავლა ჯერ არ დასრულებულა.

პირველადი დაკვირვებით, ჩვენი აზრით, უნდა გამოირიცხოს მისი აქტიურ საძგერებელ საბრძოლო იარაღად გამოყენება; რადგანაც, ერთიანი წვეტის უქონლობის გამო იგი სრულიად გამოუსადეგარია შუბის, ისრის ან აფთის პირად.

გვაქვს ვარაუდი რომ იგი უფრო სამეურნეო დანიშნულებისაა; რადგანაც, მისი ფორმებიდან გამომდინარე, აღნიშნული იარაღით შესაძლებელია მხოლოდ რაიმეს ათლა-გასერვა და ამ დამუშავებული საგნიდან, ბასრი გვერდითი პირებით, გასერილ-ათლილი ზედაპირის აწევა-განცალკევება; რისთვისაც ძალზე მოსახერხებელია პირის განივი წაწვეტებული ბრტყელი ბოლოები.

აღნიშნული ნივთი, შესაძლოა აგრეთვე გამოიყენებოდა შუბის ბოლოდ – სათიხარად, ერთგვარ ბუნიკად [21, 165]; თუმცა, 2019 წლის დაფიქსირებულმა განსაკუთრებულმა ცალმა, ვფიქრობთ, გამორიცხა მისი შუბის ბოლო სათიხარად გამოყენება; გამომდინარე თავისი ფორმისა და ზომიდან.

ეს, პრინციპში, ჩვენის აზრით, მაინც არ ცვლის საქმეს, რამდენადაც მოცემული ფორმის იარაღი, მაინც სათლელ-სასერ საქმიანობისთვის უფრო მოსახერხებელია.

ამ კითხვას, ალბათ მაინც მისი ექსპერიმენტული კვლევა გასცემს საბოლოო პასუხს, რის ჩატარებასაც აუცილებლად ვაპირებთ.

ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს იარაღები აღმოჩენილია საკულტო ხასიათის არქეოლოგიურ ძეგლზე, სამლოცველოზე, სადაც, სავარაუდოდ, ხშირი უნდა ყოფილიყო საქონლის (ზვარაკის) მსხვრპლშეწირვის რიტუალი ისე, როგორც ეს შემორჩანილია დღემდე კავკასიის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში და მრავალჯერაა აღწერილია ეთნოგრაფების მიერ [იხ. ბარდაველიძე ვ., 1973-1982-1985].

აღნიშნული ხასიათის რიტუალები, ჩვენც ბევრჯერ აღგვიწერია და შესაბამის ვიდეომატარებლებზე გადა-

გვიღია აღმ. საქართველოს მთიანეთში – ფშავში, ხევსურეთში და კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა მხარეებში (სურ. 11).

სურ. 11. ზვარაკი გოგოლაურთას ხატში (ფშავი).
ფოტო საკუთარი ფოტოარქივიდან.

როგორც ამას ადგილობრივი მთხრობელი ხატისმსახური ხევისბრები გადმოგვცემენ (და ამ რიტუალის ამსახველი ვიდეო-მასალაც მრავლად მოგვეპოვება), ზვარკი უშუალოდ ხატის შემოღობილ ტერიტორიაზე იკვლის, ტყავდება და ნაწილდება. ხატს შესაწირად რჩება ზვარაკის ტყავი, რქები და მარჯვენა ბეჭი. ტყავს სხვადასხვა პრაქტიკული დანიშნულებისთვის იყენებენ ხატის მსახურნი, რქები სალოცავში რჩება (გალავანზე აწყობენ ან ხატის ტერიტორიაზე ამოსულ ხეებზე ამაგრებენ), ხოლო მარჯვენა ბეჭი საერთო საბერო სუფრისთვის მომზადდება.

მახვეწარ თემის წევრს, ხატში ახალი წევრის საგამყვანიოდ მიაქვს აგრეთვე გამომცხვარი ქადა-პურიც, რომელსაც ხევისბერი საკლავის შეწირვის შემდგომ ოთხად გასერავს, ერთ მეოთხედს ამოჭრის („გულს ამოულებს“), თავისთან იტოვებს და დანარჩენ ¾ ქადა-პურს მახვეწარს უბრუნებს.

ის, რომ აღნიშნული ხასიათის რიტუალი დიდი ალბათობით უფრო ადრეულ ხანებში, კერძოდ კი წინარექრისტიანულ ხანებშიც ტარდებოდა ცენტრალური ამიერკავკასიის საკულტო ძეგლებზე, ნათლად მეტყველებს გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართლში, სოფ. გამდლისყაროსთან აღმოჩენილი ბრიჯაოსგან დამზადებული სამლოცველოს მოდელი, რომელიც სპეციალისტების მიერ, ქრისტემდე XI-VI ს.ს-ით თარიღდება [Pizchelauri, K. 1984, 126].

აღნიშნულ მოდელზე წარმოდგენილია წრიულად შემოსაზღვრული სამლოცველოს ტერიტორია, გამოსახულია თაღოვანი საკურთხეველი, ხატის მსახური (სავარაუდოდ, იმ პერიოდის „ხევისბერი“) და სამსხვერპლოდ მორეკილი ზვარაკი; ნათლად იკითხება აგრეთვე ტაბლა, ზედ დაწყობილი სარიტუალო პურებით (სურ. 12).

სურ. 12. სამლოცველოს ბრინჯაოს მოდელი გამდლისწყაროდან. ქრისტემდე XI-VI ს.ს.



თამამად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ მოდელში თითქმის ზედმიწევნითაა გადმოცემული ის სარიტუალო სცენა, რომელსაც ჩვენ დღემდე ვაფიქსირებთ აღმ. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

დავუბრუნდეთ კვლავ ნაზარლების ნამოსახლარზე გამოვლენილ სამლოცველოს, რომელიც თავისი წრიულობით და ხასიათით, თითქმის ასევე ზედმიწევნით იმეორებს გამდლისწყაროსთან აღმოჩენილ სამლოცველოს მოდელზე ასახულ სცენას და ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ საკულტო რიტუალებს.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, დიდი ალბათობით, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ აღნიშნული სამართებლისებრი ბრინჯაოს იარაღი, სამლოცველოზე შეწირული ზვარაკის გასატყავებლად და სარიტუალო პურების გასასერად გამოიყენებოდა იქ მომსახურე „ხატისმსახურების“ მიერ ისე, როგორც ეს დადასტურებულია არქეოლოგიური არტეფაქტებით (მხედველობაში გვაქვს სამლოცველოს მოდელი გამდლისწყაროდან) და ეთნოგრაფიული ხასიათის წერილობით თუ სხვა სახის აღწერილობით მასალებში.

ამ ვარაუდს კიდევ უფრო გვიმყარებს ისიც, რომ აღნიშნული იარაღებიდან ორი ცალი, დადასტურებულია იმ ნივთებთან ერთად, რომლებიც შეადგენდნენ „ხატის“ ერთგვარ „განძს“ (ბრინჯაოს მახვილების იმიტაციების სახით, „ხატისშვილთა“ მიერ პირადად მოტანილს [ბუხრაშვილი, პ., 2018, 118-128] და ინახებოდა სამლოცველოს გალავნის შიდა დასავლეთ მხარეზე, არსებულ თახჩაში; როგორც ეს ხშირად გვხვდება დღესაც, აღმ. საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებზე – „ჯვარ-ხატებში“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამლოცველოს ცენტრში გამოკვეთილ საკუთხევლის ფილაზე, რომელზეც, დღესაც, აშკარად შეიმჩნევა ცეცხლის კვალი (გამურულია) დაფიქსირდა ირმის მინიატურული სკულპტურა, რომელიც ძალზე ემსგავსება მცხეთაში (შიდა ქართლი), სამთავროს ველზე და ნარეკვავზე აღმოჩენილი ირმის მინიატურულ ბრინჯაოს ქანდაკებებს ძვ.წ.აღ. IX-VII ს.

ცნობილია, რომ ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით [იხ. ჩოლოყაშვილი რ., 2019], ირემი, საკულტო ცხოველია. ირმის მაგიურ უნარებზე, გადმოცემებს ვხვდებით მრავალ ზღაპარსა თუ თქმულებაში – მაგ. ზღაპრებში მოთხრობილია, რომ ჭაბუკი, ირმის რქების დახმარებით მზესა სწვდება. აგრეთვე, ცნობილია ისიც, რომ საქართველოში, ირმის დაკვლა, ხატში, ღვთაების პირველხარისხოვან ზვარაკად ითვლებოდა; მაგ. მესხური ფოლკლორში გვაქვს საფერხულო სიმღერა (დღესაც სრულდება), რომლის მიხედვითაც, ვარძიის სალოცავს, ქართველი გმირები, სადიდებლად ირმებს სწირავენ.

მეტად საინტერესოა, აგრეთვე, სამლოცველოზე აღმოჩენილი ზღაპრული ფრინველის, ფასკუნჯის მინიატურული ქანდაკებაც. ზღაპრული ფრინველის ეს მცირე ზომის (იხ. ფოტო ყდაზე) საკიდი, იმ კერამიკულ ჭურჭელში ინახებოდა, რომელიც სამლოცველოს ინტერიერში, დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ხატისთვის შეწირულ ბრინჯაოს სხვა სამკაულებთან (საკიდები, ძეწკვები, ტანისამოსის სხვადასხვა ფორმის სამშვენისები, აბჯრის ქერცლები, სამაჯურები და სხვა) [ბუხრაშვილი პ., 2019, გვ. 263-269]. შეწირული ნივთებით სავსე ეს ქოცო ინტერიერში, გალავნის დასავლეთ კედელთან, 2018 წელს გამოვლენილი განძის გასწვრივ, გადმოქცეული კედლის ნაყარს ქვემოთ აღმოჩენილ მეორე ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა, რომელიც ასევე ხატის-თვის შეწირული სარდიონის მძივებით იყო სავსე.

ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით, კარგადაა ცნობილი, რომ ზღაპრული ფრინველი, იქნება ეს – ფაშგუნდი, არწივი, ბორა (არწივის მსგავსი „ნაწილიანი“ ფრინველი), ორბი, ქორი თუ სხვა მსგავსი ფრინველები, ზღაპრულ პერსონაჟებს (ძირითადად ქაბუკ გმირებს) ხელს უმართავენ მიზნების მიღწევაში, ამოჰყავთ ისინი ქვესკნელიდან, ეხმარებიან მზეთუნახავთა მოტაცებაში და ზოგადად, მათი მშველელ-გადამრჩენელნი არიან...

გამომდინარე აქედან, სავსებით დასაშვებია, რომ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილი ირმისა და ფასკუნჯის (ფაშგუნდის) ქანდაკებები, გარკვეულწილად, სახისმეტყველებითი კუთხით, უკავშირდებოდეს კიდეც ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხალხურ ეპოსში დადასტურებულ ირმისა და ფასკუნჯის სახეებს. ხოლო ის, რომ ხალხური ეპოსის ფესვები უძველეს წარსულშია საძიებელი, ეს არავითარ ზედმეტ მტკიცებას არ საჭიროებს.

ვითვალისწინებთ რა, ზოგადად ნაზარლების წინარექალაქური დასახლების ერთიან კონტექსტს (მისი ზომები, მის თხემზე, ზედა გამაგრებულ ტერასაზე აღმოჩენილი სამლოცველო, მის ძირში არსებული სამაროვანი და ა.შ.), დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნაზარლების ნამოსახლარზე გამოვლენილი სამლოცველო, იმ პერიოდისთვის (გვიანი ბრიჯაო-ადრე რკინის ხანა) გახლდათ აღნიშნულ მხარეში არსებული დიდი სამხედრო-თეოკრატიული გაერთიანების ცენტრი, რომლის გარშემოც ერთიანდებოდა საკმაოდ მოზრდილი და მძლავრი წინარეკლასობრივი ხასიათის სოციალური ორგანიზაცია.

მიჩნეულია, რომ ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის დასაწყისი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტომთა ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეტაპია [პაპუაშვილი, თ., 1982, 7]. ესაა

პერიოდი, როდესაც ამ მხარეში მწიფდებოდა წინამძღვრები რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის და საზოგადოების შიგნით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს.

გაზიარებულია ასევე, რომ ამ მხარის ისტორიული ცივილიზაცია, რამდენადაც შესაძლებელია ამისთვის თვალის მიდევნება, უეჭველად შექმნეს ადგილობრივმა, ავტოქტონმა ტომებმა, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ უკვე უძველეს ხანიდან.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ამ მხარეში, ადამიანის პირველ ნაკვალევს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანებიდანვე ვხვდებით [ბუგიანიშვილი, თ., 1988, 18-37]. მოსახლეობის მატება და ბინადარ სამოსახლოთა ძლიერი კერების აღმოცენება განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანიდან შეიმჩნევა [იხ. ფიცხელაური, კ., 1973]; ხოლო, სარწყავი მიწათმოქმედებისა და ინტენსიური მეურნების განვითარების საფუძველზე ეს მხარე, ადრეკლასობ-რივი საზოგადოების ჩასახვისთანავე, ძლიერი სამოსახლოებით დაიფინა [კიკვიძე, ი., 1976, 90-117].

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე და უფრო გვიანაც იორ-ალაზნის ტერიტორიაზე ავტოქტონი ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ დომინირებულ ეთნოკულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამყვანი როლი კახებსა და კუხებს უნდა შეესრულებინათ. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ძვ. წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მკაფიოდ შეინიშნება მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარება. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურა, ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან „მძლავრ გარე ზემოქმედებას არ განიცდის; ყოველ შემთხვევაში ისეთს, რომ მას მისი მშვიდობიანი განვითარების გზა შეეწყვიტოს.“ როგორც ჩანს, ვერავითარმა

შემოღწევამ ვერ მოსპო ძველი, ადგილობრივი ტომები, მათი კულტურა და ვერ შეცვალა ამ კულტურების ძველადვე შემუშავებული საზღვრები [პაპუაშვილი, თ., 1982. 8]. ამის მანიშნებლად ისიც გამოდგება, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნემდე, ის დაახლოებით ისეთივე რჩება, როგორიც იყო ძვ. წ-ის II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის განმავლობაში [ფიცხელაური, კ., მენაბდე ც., 1982, 197].

ამგვარად, სავსებით მართებულადაა გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ძვ. წ-ის II-I ათასწლეულში არსებული არქეოლოგიური კულტურა, ძირითადად უკვე ფეოდალური ხანის „რანთა და კახთა“ სამეფოს მოსახლეობის უშუალო წინაპარი ეთნიკური ჯგუფების კულტურა უნდა ყოფილიყო [პაპუაშვილი, თ., 1982, 9]. ამ მეტად საგულისხმო ისტორიული ვითარების დადასტურება იმიტომაც არის საყურადღებო, რომ იგი მყარ მატერიალურ საფუძველს უქმნის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „უკვე ძველი წ-ის მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც, კავკასიის, კერძოდ კი ამიერკავკასიის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც მომდევნო ხანებში“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 103].

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძვლზე, სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია დაშვება იმისა, რომ ჩვენ შემთხვევაშიც, ნაზარლების ნამოსალარზე გამოვლენილი სამლოცველოს გარშემო შემოკრებილი თეოკრატიულ-კლასობრივ სოციუმში უკვე უნდა ჩასახულიყო ის პრინციპები, რომლებიც მოგვიანო ხანებში დაედო საფუძვლად ისეთი სატაძრო თემების ფორმირებას, რომლებიც კარგადაა შესწავლილი საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ მხრივ, სავსებით არგუმენტირებულად გამოიყურება ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მოგვიანო, ელინ-

ისტური ხანის იბერიასა და კოლხეთში უკვე არსებობდა მძლავრი საკულტო ცენტრები, რომელთა შესახებაც ანტიკურმა მწერლობამ შემოგვინახა ცნობები;[23] ხოლო, მათზე უფრო ადრეულ ტრადიციულ-საკულტო ძეგლებზე, რაც უთუოდ უნდა არსებულიყო უფრო ადრეულ ხანაში, წერილობითმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

საგულისხმოა, ამ მხრივ, თუნდაც იბერიის საზოგადოებრივი წყობის აღწერისას, სტრაბონის მიერ ქურუმთა გვარის (გენოსი) ცალკე გამოყოფა, რაც უთუოდ მოწმობს ქვეყანაში სატაძრო ცენტრების სიმრავლეს და მის განმსაზღვრელ მნიშვნელობას – „ქურუმთა გვარი“ უშუალოდ მოსდევს „სამეფო გვარს“ [ინაძე, მ., 1976, 136-144].

სამწუხაროდ, თვით სტრაბონისეული აღწერა იბერიასა და კოლხეთში არსებული საკულტო ცენტრებისა, ძალზედ მწირია და არ იძლევა სრულ წარმოდგენას მათი არსებობის შესახებ; ამიტომ ამ ცენტრების შესწავლისას მკვლევარნი ხშირად მიმართავენ მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებებთან დაკავშირებით სტრაბონის დაცულ მონაცემებს და აქედან ანალოგიების მოტანით სათანადო დასკვნებსაც აკეთებენ [ჯავახიშვილი, ივ. 1960, 48-61; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 582-593].

მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებები, მათ გარშემო არსებული ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთიმეორისგან. თუ კი ისინი, მათი არსებობის ადრეულ ეტაპებზე (ე.ი. ვიდრე სატაძრო დაბებს წარმოადგენდა), მსგავსი იყო ერთიმეორისა თავისი შინაგანი წყობით, ასევე ფუნქციით (ასრულებდა საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების დანიშნულებას), შემდეგში იმის მიხედვით

---

[23] მხედველობაში გვაქვს სტრაბონის ცნობები ორი მათგანის შესახებ – 1. იბერია-ალბანეთის სასაზღვრო ზონაში მთვარის ღვთაების ტაძარი და 2. მოსხთა ქვეყანაში ლევკოთეას სამლოცველო და სამისნო [Strabo, XI,IV,7 ყაუხჩიშვილი თ., 1957, 134-135].

თუ რა ეკონომიურ და პოლიტიკურ გარემოში უხდებოდა მათ ფუნქციონირება, ხდება მათი ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც ჩნდება სატაძრო გაერთიანებათა სრულიად სხვა ფორმები – ბევრგან ისინი, ანუ სატაძრო დაბები, გადაიზრდება სატაძრო ცენტრებად და აქედან უკვე პოლისებად.

თუმცა, ყველგან ასე არ მომხდარა (განსაკუთრებით იქ, სადაც არ იყო ქალაქების განვითარებისთვის საჭირო ხელშემწყობი პირობები – მაგ. სავაჭრო გზათა კვეთა) და ძველი სატაძრო დაბა-ცენტრები ისეთივე დარჩა და დიდხანს უცვლელად ინარჩუნებდა თავის სახეს; ან სულაც, შეწყვიტა არსებობა სხვადასხვა მიზეზთა (**ბუნებრივი კატაკლიზმების ან სულაც შემოსევების – პ.ბ.**) გამო [ინაძე, მ., 1976, 141].

მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ა. ფერიხანიანმა, რომელიც ასკვნიდა, რომ ამ გაერთიანებებს მართავდა ერთგვარი „სამოქალაქო“ კოლექტივი, რომელიც ორგანიზებული იყო სიუნგენეებად და ფილებად; მოქმედებდა სახალხო კრება, ირჩევდნენ მაგისტრატებს, გააჩნდათ საბჭო და საკუთარი სამხედრო ორგანიზაცია [Периханян, А. Г. 1959, 152-155].

ცნობილია, რომ მაგ.: კაპადოკიის აღწერისას სტრაბონი ასახელებს ზევს უენასოს ტაძარს, რომლის მსახურთა რიცხვი 3000 აღწევდა; ტაძარს გააჩნდა თავის სატაძრო მამული, რომელსაც 15.000 ტალანტის ოდენობის შემოსავალი მოჰქონდა ტაძრის ქურუმთათვის [ყაუხჩიშვილი თ., 1957, Strabo, II, 5. 26].

მიჩნეულია, რომ მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებებში კლასობრივი სტრუქტურის განსაზღვრაზე საგანგებოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა შრომის დანაწილება ერთის მხრივ, საკუთრივ წარმოებაში და მეორეს მხრივ, მმართველობის სისტემაში დასაქმებულ მოსახლეობას შორის. ორგანიზატორული (მმართველობითი) ფუნქციების შესრულება სამეურნეო, სამხედრო,

საკულტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმოადგენდა გაბატონებული ზედაფენის გამოყოფის საფუძველს [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 154].

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როგორც ეს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა, ჩვენს შემთხვევაში, ნაზარლების ნამოსახლარზე მცხოვრებნი უპირატესად მესაქონლეობაზე უნდა ყოფილიყვნენ ორიენტირებულნი, რადგანაც მოპოვებულ სამარხეულ მასალაში მრავლად გვაქვს დადასტურებული სადღვებლების არსებობა; სამაგიეროდ, სადღვებლები დიდ იშვიათობას წარმოაგენს ნაზარლებიდან სულ ათიოდე კილომეტრით გამოვლენილ დიდნაურის ანალოგიური პერიოდის ნამოსალარზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში.

მაშასადამე, შეიძლება ვივარუდოთ, რომ ნაზარლების მცხოვრებთა სამეურნეო-კულტურული ტიპი ხასიათდებოდა მესქონლეობის უპირატესი წილით, ხოლო დიდნაურის მცხოვრებთათვის, მიწათმოქმედება და მარცვლეული კულტურების მოყვანა უპირატესი საქმიანობა უნდა ყოფილიყო.

თავისთავად ეს ფაქტი უკვე მანიშნებელია აღნიშნული წინაკლასობრივი გაერთიანების (რადაც, ჩვენის აზრით სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს შირაქის ზეგანზე გამოვლენილ გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლართა ერთობლიობა) მოსახლეთა შორის შრომის დანაწილებისა და ვარაუდად, მათ შორის გარკვეული სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ხოლო რა მიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივ გაერთიანების შიგნით ამ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის (თავისთავად ვაჭრობის) ჩასახვა-ჩამოყალიბაბას ამა თუ იმ სოციალური ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

მიჩნეულია, რომ უძველეს ხანაში, პირველყოფილითემური წყობილების ბატონობის დროს, ტერმინი

„მამასახლისი“ ქართის ტომების ერთ ნაწილში მაინც აღნიშნავდა გვარის უფროსებს, ისევე, როგორც „სახლი“ – გვარს. მაგრამ შემდეგში, საგვარეულო თემის სასოფლო (ტერიტორიალურ) თემად გადაზრდასთან ერთად, ალბათ, მოხდა „სახლი“, „მამასახლისი“ ტერმინების მნიშვნელობის დავიწროება, მათი გადაქცევა სასოფლო თემის შიგნით ჩამოყალიბებული საოჯახო თემებისა და მათი მეთაურების აღმნიშვნელ ტერმინებად. ამასთან ერთად, იგივე ტერმინები, კლასობრივი საზოგადოების პირობებში მთელი რიგი სხვა ცნებების აღმნიშვნელად გადაიქცა: „სამეფო სახლი“ (სამეფო საგვარეულო), სამხედრო სამოხელეო არისტოკრატიის (შემდგომში ფეოდალური არისტოკრატიის) წარმომადგენელთა ცალკეული „სახლები“ და ა.შ.

ტერმინი „მამასახლისი“, ამგვარი „სახლების“ მეთაურთა გვერდით, მეფის მოხელეების – ცალკეულ პუნქტთა გამგებლების, კორპორაციული თემების მეთაურთა აღმნიშვნელ ტერმინებად იქცა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 581].

ვფიქრობთ, რომ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე შირაქის ზეგანზე შესწავლილ ნამოსახლარებთან („ნაზარლები“, „დიდნაური“, „სამრეკლო“...) მიმართებაშიც, როდესაც შირაქის ზეგანზე გაშლილი ეს მსხვილი დასახლებები ერთი დიდი, ძირი სატაძრო დაბადასახლების გარეშემო ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ერთ სამეურნეო-კულტურულ ტერიტორიულ გაერთიანებას.

ვსაუბრობთ რა სატაძრო თემთა და უძველეს საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებზე, არ შეიძლება არ მოვიტანოთ სტაბონის ცნობილი აღწერა იბერია-ალბანეთის საზღვარზე მის მიერ აღწერილი მთვარის ღვთაების სამლოცველოს თაობაზე.

როგორც ბერძენი გეოგრაფოსი გადმოგვცემს, ამ ტაძრში „ქურუმობს კაცი, უწარჩინებულესი მეფის შემდეგ; ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგად

დასახლებული და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეებში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ ჰკვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებლით დაზელილს, სხვა სამსხვრპლო ცხოველებთან ერთად, მსხვერპლად შესწირავენ. მსხვერპლშეწირვას ასეთი სახე აქვს – ერთს უჭირავს წმინდა შუბი (**გავიხსენოთ ნაზარლების სამლოცველოს „სახატე განძის“ შემადგენლობაში შემავალი შუბისპირები! – პ.ბ.**), რომლითაც წესია ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ის გამოდის ხალხიდან, არტყამს გვერდიდან გულში ისე, რომ ამ (საქმეში) გამოუცდელი არ არის. როდესაც დაეცემა (მსხვერპლი), აღინიშნება მისნობა დაცემის მიხედვით და საზოგადოდ ცხადდება; ხოლო, გვამი მიაქვთ რომელიმე ადგილას და ეხებიან ფეხით, განსაწმენდელად“ [ყაუხჩიშვილი თ., 1957, Strabo, XI,IV,7, 134-135].

ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა იმ განსაკუთრებულ მსგავსებაზე, რომელიც არსებობს სტრაბონის მიერ აღწერილ მთვარის ღვთაების ალბანური ტაძრის რელიგიური დღესასწაულების რიტუალებსა და გვიანდელი ხანის კახეთში (აღმოსავლეთ საქართველოს ალბანეთის მოსაზღვრე ნაწილში) განთქმულ „თეთრი გიორგობის“ ცერემონიალს შორის. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, უცილობლად, მთვარის ღვთაებისადმი მიძღვნილი ძველი წარმართული დღესასწაულის ქრისტიანიზირებულ ვარიანტად გვევლინება. დიდი მეცნიერი ფიქრობდა, რომ მთვარის ღვთაების ზემოაღნიშნული ტაძარი, შესაძლებელია, სწორედ კახეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა [ჯავახიშვილი, ივ., 1960, 46-61].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, ქართველური (და ზოგადად სხვა დანარჩენი) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის განხილვისას, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის

მდიდარი წყარო-მასალები და მათ საფუძველზე მიღებული დასკვნები, რომელიც მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხების თაობაზე და მათ საფუძველზეც უნდა მოხდეს შესასწავლი პრობლემის კომპლექსურად განხილვა.

ამის მაგალითია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი სატაძრო თემის ფენომენი, რომლის საფუძვლებიც ძალზე შორეულ წარსულშია საძიებელი; რის საბუთადაც სავსებით სამართლიანად არის აღიარებული ერთის მხრივ სტრაბონის ცნობები და მეორეს მხრივ, ეთნოგრაფიული მონაცემები [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 583]. კერძოდ კი ვ. ბარდაველიძის შრომები სატაძარო თემისა და სატაძრო მიწათმფლობელობის შესახებ, აღმ. საქართველოს მთიანეთში.

ეს მასალები ნათლად მიუთითებს სატაძრო-სათემო მიწათმფლობელობისა და სატაძრო თემების არსებობაზე და იმაზე, რომ ისინი, თამამად შეიძლება გამოვიყენოთ, ერთის მხრივ, საქართველოს მთიელთა და მეორეს მხრივ, ქართლის და მისი მიმდებარე დაბლობი მხარეების უძველესი მოსახლეობის მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის ფორმების დასახასიათებლად.

ამდენად, კიდევ გავიმეორებთ, რომ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია პარალელელბის გავლება ნაზარლების სამლოცველოსა და ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ ტრადიციულ საკულტო-სარიტუალო ძეგლებს შორის, რის მაგალითები ადრეც ყოფილა ქართველ მეცნიერთა შრომებში [ფიცხელაური კ., 1973, 112-122].

ჩვენი აზრით, ნაზარლების სამლოცველოს აღმოჩენა და მისი საფუძვლიანი შესწავლა კიდევ იმითაა დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელი, რომ მის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს და დადგინდეს ის საზოგადოებრივ-სათემო და თეოკრატიული ურთიერთობების ფორმები, რომლებმაც საფუძველი დაუდო ამ მხარეში, ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო ხანებში კარგად შეწავლილი

ადრე ელინისტური და ელინისტური საზოგადოებრივი სატაძრო თემების შექმნა-ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ხაზგსმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენს მიერ წამოჭრილი ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური შეპირისპირებები წინასწარი ვარაუდებია და გამომდინარე აქედან, ყოველგვარი კატეგორიულობისგან ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ; რამდენადაც, ნაზარლების გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის პერიოდის ამ უნიკალური სამლოცველოს სრული არქეოლოგიური შესწავლა ჯერ არ დასრულებულა და იმედი გვაქვს, რომ მისი კომპლესქური და საფუძვლინი კვლევა, ჩვენს კოლეგებთან ერთად, კიდევ ბევრს რაიმეს საინტერესოს და საგულისხმოს მოჰფენს ნათელს.

და ბოლოს, ნაზარლების სამლოცველო, როგორც ამაზე მიგვანიშნებს აქ განვითარებული ძლიერი ნგრევის კვალი, განადგურებული უნდა იყოს მტრის შემოსევის ან შესაძლო ძლიერი სტიქიური უბედურების (მიწისძვრის) შედეგად, რამაც გამოიწვია ამ რეგიონში, მოცემულ ქრონოლოგიურ პერიოდში, აქ მაცხოვრებელ ტომთა საზოგადოებრივი და ადრეკლასობრივი ურთიერთობების მკვეთრი დაქვეითება-დაუძლურება; **ხოლო, როდესაც ქვეყანა უძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“** [ყაუხჩიშვილი თ., 1957; 124] – ამბობს ევრიპიდე.

## ბიბლიოგრაფია


1. აბაშიძე ბ. 1984, ქურდობა მეკობრეობის კულტის საკითხი. მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, განათლება, თბ. 1984
2. აბდუშელიშვილი მ. 1971, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, მეცნიერება, თბ., 1971
3. აბდუშელიშვილი მ. 1979, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ, 1979
4. აბდუშელიშვილი მ, 1981, კავკასიის ანთროპოლოგია შუა ბრინჯაოს ხანაში, მეცნიერება, თბ., 1981
5. ბარდაველიძე, ვ. 1973, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები (ფშავი) ტ. 1, მეცნიერება, თბ. 1973
6. ბარადაველიძე, ვ. 1982, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები (ხევსურეთი) ტ. 21, მეცნიერება, თბ. 1982
7. ბარადაველიძე, ვ. 1985, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები (თუშეთი) ტ. 22, მეცნიერება, თბ. 1985
8. ბუგიანიშვილი, თ. 1988, დავით გარეჯის უდაბნოს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები, გარეჯი, კაე-ს შრომები VIII, მეცნიერება, თბ., 1988 გვ. 18-37
9. ბუხრაშვილი, პ., ბლოხერი, ფ., დავითაშვილი, შ., ცქვიტინიძე, ზ. 2018, მთა „ნაზარლებზე" (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმდინარე ქრთულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სამუშოების მოკლე ანგარიში; ამირანი XXXI, თბ. 2018; გვ. 5-27
10. ბუხრაშვილი პ. 2019, ილიასა და ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ დედოფლისწყა-

როს მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ. გვ. 263-269

11. ბუხრაშვილი, პ. 2018, ერთი არქეოლოგიური ნივთის ფუნქციის განსაზღვრისათვის; ამირანი XXXI, თბ. 2018; გვ.118-128

12. ბუხრაშვილი, პ. 2002, ლიჩენიში – ძეობა ჰადიშის (ზემო სვანეთი) თემში, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“ VI, თბ. 2002 გვ. 7-19

13. ბუხრაშვილი, პ., ჩინჩალაძე, გ., ომიაძე, მ., კორძაია, კ., კარბელაშვილი, ნ., ველიჯანაშვილი, ალ., გაჩეჩილაძე, ნ. 2009, „ციხეგორს გალობს ბულბული“ (ეთნოლოგიური მულტიმედიური კრებული), თბ. 2009. კრებული მომზადდა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით (გრანტი 07-319-1-140)

14. ბუხრაშვილი, პ., ცქვიტინიძე, ზ. 2007, გომარეთის მამულოს პანტიანის ტყეში მდებარე მეგალითურ დასახლებაზე ჩატარებული დაზვერვითი სამუშაობის შესახებ, „ამირანი“ XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი 2007, გვ. 25-36

15. გარეჯი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VIII, რედ. კ. ფიცხელაური, მეცნიერება, თბ. 1988, გვ. 266

16. ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი პროფ. ს. ჭანტურიშვილი, თსუ გამ-ბა თბ. 1997, გვ. 188-215

17. ინაძე, მ. 1976, მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა განვითარება საკითხისათვის სტრაბონის

ცნობების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილი – 100, საიუ-ბილეო კრებული, მეცნიერება, თბ., 1976, გვ.136-144

18. კოდუა ე. 1986, სოციოლოგიის შესავალი, თსუ გამ-ბა, თბ., 1986 გვ. 259-288

19. კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (კვ-ლევითი პროექტი ილიას სახ. უნივერსიტეტის მეც-ნიერებისა და ხელოვნების ფაკ-ზე – პ. ბუხრაშვილი, კ. ფიცხელაური, გ. ყიფიანი), ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვ-ლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი 2007, გვ. 9-24

20. კიკვიძე, ი.1976, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმ-ედო კულტი ძველ საქართველოში, მეცნიერება, თბ., 1976

21. მაისურაძე, ბ., მინდიაშვილი, გ. 1999, აეროარქეო-ლოგია შირაქში, ძიებანი № 4, თბ. 1999, გვ. 29-36

22. მაისურაძე, ბ., ფანცხავა, ლ. 1984, შილდის სამლოცვე-ლო (კატალოგი), კაე-ს შრომები VII, მეცნიერება, თბ. 1984; გვ. 113

23. მაკალათია, ს. 1930, მთიულეთი, სახელგამი, თბ. 1930

24. მამულია, გ. 1976, აგნატური ჯგუფები ძველ ქა-რთლში და მათი გენეზისი, ივ. ჯავახიშვილი – 100, საიუბილეო კრებული, მეცნიერება, თბ,1976., გვ.120-135

25. მარუაშვილი ლ. 1986, კავკასიის ფიზიკური გეოგრა-ფია, მეცნიერება, თბ., 1986

26. მელიქიშვილი გ. 1976, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გამ. მეცნიე-რება, თბ. 1976, გვ. 145-171

27. მელიქიშვილი გ. 1999, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, გამ. „ჯალი“, თბ. 1999, გვ. 664

28. პაპუაშვილი, თ. 1982, რანთა და კახთა სამეფო, მეცნიერება, თბ., 1982

29. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რედ. მელიქიშვილი გ., საბჭოთა საქართველო, თბ. 1970

30. სიდამონიძე, უ. 1978, ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, მეცნიერება, თბ., 1978

31. ფიცხელაური, კ.ნ, 1973, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ-ის XV – VII ს.ს.), მეცნიერება, თბ. 1973

32. ფიცხელაური, კ., მენაბდე ც. 1982, გადრეკილის სამაროვანი, მეცნიერება თბ., 1982

33. ფიცხელაური კ. 2018, „დიდნაურის“ ნაქალაქარსა და სამაროვანზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, თბ. 2019, გვ. 56-58

34. ფიცხელაური კ. 1988, დავით გარეჯის უდაბნოს არქეოლოგიური შესწავლის ძირითად ი შედეგები და პერსპექტივები, გარჯი, კაე-ს შრომები VIII, მეცნიერება, თბ. 1988 გვ. 14-17

35. ფიცხელაური კ. 2018, ჰერეთი და ჰერები, მაცნე 2018-1, საქართველოს მეცნიერაბათა ეროვნული აკადემია, საზ. მეცნიერებათა განყოფილება, თბ. 2018

36. ფიცხელაური, კ., ვარაზაშვილი, ვ., ბუხრაშვილი, პ., ფიცხელაური, კ.კ. 2007, არქეოლოგიური სამუშაოები ნაზარლების ნაქალაქარზე და სამაროვანზე (2007 წ-ის გაზაფხული), „ამირანი“ XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი 2007, გვ. 48-58

37. ქართლის ცხოვრება, 1995, ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.1, სახელგამი, თბ. 1955

38. ქართული ხალხური პოეზია, 12 ტომად, ნაკვ. III-IV, საგმირო პოეზია, გამ. მეცნიერება, თბ. 1974-1975

39. ყაუხჩიშვილი თ. 1957, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ. 1957

40. ყიფიანი, გ. 20071, გომარეთის მეგალითური დასახლების განაშენიანებისა და სამშენებლო ტექნოლოგიის საკითხები, „ამირანი“ XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი 2007, გვ. 37-47

41. ყიფიანი გ. 20072, მოსაზრებანი უდაბნოს ნაქალაქართა ხუროთმოძღვრების შესახებ, „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო-სამეცნიერო კვლევითი ინსტუტის მოამბე, XVII-XVIII, მონრეალი-თბილისი, 2007, გვ. 18-24

42. ჩიქოვანი თ. 1985, ეთნოგრაფიული მასალის როლი არქეოლოგიურ ძიებაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1985

43. ჩიტაია, გ. 2001, შრომები ხუთ ტომად, ტ.III, მეცნიერება, თბ., 2001

44. ჯავახიშვილი, ივ. 1960, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თსუ გამ-ბა, თბ., 1960

45. ჯავახიშვილი ივ. 1992, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი 12 ტომად, ტ. X, მეცნიერება თბ. 1992 წ. გვ. 622

46. ჯანელიძე ზ. 2007, გარეჯის არქეოლოგიური ძეგლების პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაცია, ამირანი. XVII-XVIII. 2007, გვ. 233-238

47. ჩოლოყაშვილი რ. 2019, ქართული ხალხური პროზა, ცხოველთა ეპოსი, შემდგენელი რ. ჩოლოყაშვილი, აკადემიური წიგნი, თბ. 2019

48. Assman J. 2002, Das Kulturalle Gedächtnis, Bremen 2002, - 344 S.

49. Bergeman J. 2000, Orientierung Archäologie, Hamburg 2000, -205 S

50. Bukhrashvili, P., Blocher, F., Tskvitinidze, Z., Davitashvili, Sch. 2019, Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2017 und 2018, Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 151, 2019, 271-294

51. Bukhrashvili, P., Blocher, F., Tskvitinidze, Z., Davitashvili, Sch. 2020, Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2019, Mit einem Beitrag von Jörg Fassbinder, Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 125-154

52. Knauß F. S. 2005, Zur Eisenzeitlichen wohnarchitektur Ostgeorgiens, ANES, Ancient Near Eastern Studies Volume 42, 2005, st 187-210

53. Krafeld-Daugherty M. 1994, Wohnung im Alten Orient, Ugarit-Verlag, Münster 1994. – 402 S

54. Motzenbäcker I. 2007, Tachti Perda: eine mehrschichtige Siedlung der Bronze- und Eisenzeit in Kachetien, Georgien, Der Schwrzmeeraum vom Äneulithikum bis in die Früheisenzeit (5000 – 500 v. Chr.) Tbilisi 2007

55. Motzebäcker, I. 2014, Ausgrabung einer mehrschichtige Bronze- und Eisenzeitliche Siedlung Tachti Perda in Kachetien, Georgien, Aktuelle Forschungen in Eurasien, Berlin, 2014, st.: 66-67

56. Noll E. und Struwe R. 1997, Bestattungsbefunde in ethnoarchäologischer Perspektive, EAZ 3-4 1997, 287-290 S.

57. Pizchelauri, K. 1984, Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. Materialien zur allgemeinen und vergleichenden Archäologie, Bd. 12 Published by München : Beck, (1984)

58. Алексеев В.П. 1974, Происхождение народов Кавказа, М., 1974–214 с.

59. Алексеев В.П. 1989, Историческая антропология и этногенез. М.: Наука, 1989. 448 сстр.

60. Асланов И. К. 2002, Теория культурно-исторических типов Н. Я. Данилевского, Философия и общество. Выпуск №1(26)/2002.

61. Баксан Д. 1995, След Сатаны на тайных тропах истории, Грозный 1995

62. Бжезинский З. 2004, Выбор: Мировое господство или глобальное лидерство (The choice: global domination or global leadership / Пер. с англ. Е. А. Нарочницкой, Ю. Н. Кобякова. М.: Международные отношения, 2004. 287 с.

63. Белл Д. 1999, Грядущее постиндустриальное общество. — Москва: Академия, 1999

64. Белл Д. Социальные рамки информационного общества // Новая технократическая волна на Западе. — Москва: Прогресс, 1986

65. Брилева О. А. 2012, Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (XV в. до н.э.— X в. н.э.) М., 2012

66. Гегель Г. 1935, Лекции по истории философии, Москва, Ленинград: Соцэкгиз, 1935, ȝȝ. 89

67. Гобино, Г. Лебон, Х. С. Чемберлен. — Иваново: ПресСто, 2013. — 148 с.

68. Гумилёв, Л. Н. 1989, Этногенез и биосфера Земли / Под ред. доктора геогр. наук. профессора В. С. Жекулина. — 2 изд. испр. и доп. — Л.: Изд-во ЛГУ, 1989. — 496 с.

69. Манандян, Я.А. 1932, Заметки о феоде и феодальном войске Парфии и Аршакидской Армении, НИИ

70. Наджафов, Ш.Н. 2018, Археологическое исследование древнего поселения Сарвантепе в 2009-2014 гг., Актуальная археология 4, Комплексные исследования в археологии Тезисы Международной научной конференции молодых ученых, Санкт-Петербург, 2018, Стр.: 275-278

71. Периханян, А. Г. 1959, Храмовые объединения Малой Азии и Армении (IV в. до н. э. — III в. н. э.). М: Изд-во вост. лит., 1959.

72. Тойнби А. Дж. Цивилизация перед судом истории: Сборник / Пер. с англ. — М.: Рольф, 2002—592 с.

73. Токарев С.А. 1978, История зарубежной этнографии. Учебное пособие, Москва. 1978

74. Тоффлер, Э. 2010, Третья волна (The Third Wave) М.: АСТ, 2010. — 784 с.

75. Шпенглер О 1993. Закат Европы. Очерки морфологии мировой истории. М., 1993. С. 163—164

Prof. Paata Bukhrashvili (Ilia State University)

**Once more about the sanctuary of Nazarlebi**
(Comparative ethno-archaeological observations)

Résumé

The present article deals with the ethno-archaeological interpretation of the rotunda and the depot find of Nazarlebi. Here the opinion is expressed that the round sacred building in the Nazarlebi ramparts represented a kind of center of the military-theocratic society in its time (Late Bronze and Early Iron Age), which was structured in a pre-class society.

It can be assumed that in this theocratically structured society, which was grouped around the Nazarlebi sanctuary, the beginnings of a so-called temple community can be observed. It is possible that there should be principles here that are typical of such social models and that have been extensively researched in the specialist literature.

It is conceivable that the Late Bronze / Early Iron Age settlements known in the Shiraki Plain, such as Nazarlebi, Didnauri, Samreklo etc., were already structured according to this model. They united around a sanctuary and formed a unit that belonged together economically and culturally.

Prof. Paata Buchraschwili (Ilia Staatliche Universität)

**Noch einmal über das Heiligtum von Nazarlebi**
(Vergleichende ethno-archäologische Beobachtungen)

Resümee

Der vorliegende Werk befasst sich mit der ethno-archäologischen Deutung des Rundbaus und des Depotfunds von Nazarlebi. Hier wird die Meinung geäußert, dass der runde Sakralbau in der Wallanlage Nazarlebi zu seiner Zeit (Spätbronze und Frühe Eisenzeit) eine Art Zentrum der militär-theokratischen Gesellschaft darstellte, die in einer Pre-Klassengesellschaft strukturiert war.

Es ist anzunehmen, dass in dieser theokratisch gegliederten Gesellschaft, die sich um das Nazarlebi-Heiligturm gruppierte, die Ansätze einer sog. Tempelgemeinschaften zu beobachten sind. Womöglich sollten hier Prinzipien vorhanden sein, die für solche Gesellschaftmodelle typisch sind und in der Fachliteratur weitgehend erforscht sind.

Es ist denkbar, dass die in der Schiraki-Ebene bekannten Spätbronze-/früheisenzeitlichen Siedlungen, wie Nazarlebi, Didnauri, Samreklo etc., sich bereits nach diesem Modell gliederten. Sie vereinten sich um ein Heiligtum und bildeten eine Einheit, die wirtschaftlich und kulturell zusammengehörte.

# ტაბულები აღწერილობით

ტაბ. I

სურ. 1 – ნამოსახლარის ხედი დასავლეთიდან
(გათხრების დაწყებამდე)

სურ. 2 – გეოდეზიური ანაზომი



სურ. 1 – ნაზარლების სამაროვნის გათხრის პროცესი 2007 წ.

სურ. 2 – ნაზარლების ზედა გალავნის ჭრილი

ტაბ. III

ნაზარლების სამლოცველო
2021 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით

ტაბ. IV

შილდის სამლოცველოს სქემა და ფოტო. 1978 წ



ტაბ. V

ხევისბრები ლაშარის წმ. გიორგის ხატისკარზე
(ივრის ხეობა)

სურ. 1 – ნაზარლების სამლოცველოს „ხატის განძი“
2018 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით.

სურ. 2 – სამლოცველოს ჩრდილო-დასავლეთი ჭრილი 2018 წლის მდგომარეობით; ინტერიერში დაფიქსირებული მასალის ლოკალიზაციის ჩვენებით.

ტაბ. VII

სასანთლე კოშკები ლაშარის და ცაბაურთას ხატებში

სურ. 1 – სამლოცველოს ცენტრალური ნაწილი
აღმოჩენილი ნივთების ლოკალიზაციის ჩვენებით

სურ. 2 – სამლოცველოზე ნაპოვნი ირმის ბრინჯაოს მცირე
სკულპტურა. სურ. 3 – საბეჭდავი

ტაბ. IX

სურ. 1 – ბრინჯაოს შედგენილტარიანი მახვილი

სურ. 2 – ცენტრალურკავკასიური ტიპის ორპირი ცული

ტაბ. X

ბრინჯაოს სამართებელისებრი დანები